

**უხსო ქვეყნის სასამართლო
გადაწყვეტილების
საქართველოს ტერიტორიაზე
ხნობა და აღსრულება**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

ბანკინება

№ა-1323-შ-28-2012

2 ოქტომბერი, 2012 წ., ? თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიჭვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: რუსეთის ფედერაციის ქ.ვოლგოგრადის ტრაქტოროზავოდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილების (საქმე №2-403/2009) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის ქ.ვოლგოგრადის ტრაქტოროზავოდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ტ. ტ-ის ძე ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ტ. ტ-ის ძე ა-ის სასარგებლოდ დაეკისრა: ა. შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის გამო ერთჯერადი სადაზღვევო გადასახადი, 69638 რუბლის ოდენობით; ბ. შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის გამო, ყოველთვიური სადაზღვევო გადასახადის დავალიანება 2330399 რუბლის ოდენობით; გ. კომპენსაცია მორალური ზიანისათვის 600000 რუბლის ოდენობით; დ. 2009 წლის 1 ოქტომბრიდან, ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის გამო 33479 რუბლის გადახდა. ამასთან, დადგინდა, რომ ტ. ტ-ის ძე ა-ის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის გამო ასანაზღაურებელი თანხის ოდენობის ინდექსაცია და მისი პერიოდულობა განისაზღვროს საქართველოს ნაციონალური კანონმდებლობის შესაბამისად.

ტ. ა-მ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 10 აპრილის განჩინებით ტ. ა-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში. ამავე განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გაეგზავნა როგორც ხსენებული შუამდგომლობის, ისე შუამდგომლობაზე თანდართული მასალების ასლები. ადრესატს განემარტა, რომ უფლება ჰქონდა წარმოედგინა მოსაზრება ტ. ტ-ის ძე ა-ის შუამდგომლობის თაობაზე აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში, მასვე განამარტა ისიც, რომ შეეძლო მოეთხოვა საქმის ზეპირი განხილვა, ხოლო თუ იგი აღნიშნულს არ მოითხოვდა, საქმე განიხილებოდა ზეპირი განხილვის გარეშე.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ საკასაციო სასამართლოში წარმოადგინა მოსაზრება, სადაც აღნიშნა, რომ 2008 წლიდან 2012 წლის ჩათვლით მოქმედი საბიუჯეტო კანონებით არ ყოფილა გათვალისწინებული საჭირო ასიგნებები 2007 წლის 1 მარტის შემდგომ პერიოდში სააგენტოს მიმართ წარმოდგენილი ისეთი მოთხოვნების დასაკმაყოფილად, როგორც წარმოადგენს შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ამდენად, სააგენტო მოკლებულია ფინანსურ შესაძლებლობას, რადგან იგი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი და მისი დაფინანსების ფაქტობრივად ერთადერთი წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი, სარჩო კი არის მიზნობრივი სოციალური გასაცემელი (პენსიის, სუბსიდიის მსგავსად). მისი დაფინანსება ხდება ბიუჯეტის მხოლოდ შესაბამისი ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით მიზნობრივი ასიგნებიდან. ზემომითითებული გარემოებების გათვალისწინებით, მოწინააღმდეგე მხარე მიიჩნევს, რომ დღეისათვის სოციალური მომსახურების სააგენტო არ წარმოადგენს ვალდებულ პირს საწარმოო ტრავმის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხებში. ამასთან, საბიუჯეტო სახსრებიდან თანხის ანაზღაურების საკითხი უნდა განხილულიყო საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. არამართებულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებით დაეკისროს თანხების ანაზღაურება.

მოწინააღმდეგე მხარე არასწორად მიიჩნევს ასევე სასამართლო გადაწყვეტილებაში ასახულ მითითებას იმის შესახებ, რომ მოპასუხეს ეცნობა სხდომის შესახებ, მაგრამ რაიმე პოზიცია არ წარუდგენია. მისი განმარტებით, სოციალური მომსახურების სააგენტოში არც დასახელებული საქმე და სხდომის ჩატა-

რების თაობაზე არც რაიმე სახის შეტყობინება არ შესულა. შუამდგომლობა არ შეიცავს უტყუარ მტკიცებულებას, რაც დაადასტურებს სასამართლო უწყების სოციალური მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციას.

გარდა ამისა, მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებით, რუსეთის ფედერაციის სასამართლოს არ გააჩნდა საერთაშორისო კომპეტენცია განსახილველი დავის მიმართ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ ტ. ა-ის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების საკითხს აწესრიგებს საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“. აღნიშნული კანონის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილია, რომ სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას. ამავე კანონის მე-2 ნაწილის თანახმად, აღსრულებაზე გადაწყვეტილება მიიღება დაინტერესებული მხარის მიერ შესაბამისი შუამდგომლობის აღძვრის შემდეგ. უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულებისათვის კანონი ადგენს განსაზღვრულ წინაპირობებს. სწორედ ამ წინაპირობებს უნდა აკმაყოფილებდეს შუამდგომლობა, რათა მოხდეს შესაბამისი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და მისი აღსასრულებლად მიქცევა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტები უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობაზე უარის თქმის საფუძვლად განიხილავს შემდეგ ორ შემთხვევას, თუ: საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება ან თუ, უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გადაწყვეტილება გამოიტანა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება.

კომპეტენციასთან დაკავშირებული ზემომითითებული საკითხების საკანონმდებლო მოწესრიგებას გვთავაზობს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის რიგი ნორმები, თუმცა მისი მე-2 მუხლი ადგენს, რომ საერთა-

შორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ წესებს უპირატესი იურიდიული ძალა აქვთ ამ კანონით განსაზღვრულ წესებთან შედარებით.

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ მინსკის კონვენცია, რომლის ხელშემკვრელ მხარეებსაც წარმოადგენენ როგორც საქართველო, ასევე რუსეთის ფედერაცია, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადანყვეტილების ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას ასევე უკავშირებს ამ სასამართლოს კომპეტენტურობას. კერძოდ, კონვენციის 55-ე მუხლის „დ“ პუნქტის მიხედვით, თითოეული ხელშემკვრელი მხარის იუსტიციის დაწესებულებათა მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებების ცნობისა და მათი იძულებითი აღსრულების ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარის თქმა იმ შემთხვევაში, თუ, მოცემული კონვენციის დებულებათა თანახმად, ხოლო კონვენციით გათვალისწინებულ შემთხვევებში, იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს გადანყვეტილების ცნობა და აღსრულება, საქმე განეკუთვნება მისი დაწესებულების განსაკუთრებულ კომპეტენციას.

დასახელებული კონვენციის 42-ე მუხლი შეიცავს შემდეგ დანაწესს: ზიანის ანაზღაურების ვალდებულებები, იმათ გარდა, რომლებიც გამომდინარეობენ ხელშეკრულებებიდან და სხვა მართლზომიერი მოქმედებებიდან, განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც ადგილი ჰქონდა მოქმედებას ან სხვა გარემოებას, რაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი გახდა; თუ ზიანის მიმყენებელი და დაზარალებული ერთი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქენი არიან, გამოიყენება ამ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა; ზემოაღნიშნულ საქმეებში კომპეტენტურია იმ ქვეყნის სასამართლო, რომლის ტერიტორიაზეც ადგილი ჰქონდა მოქმედებას ან სხვა გარემოებას, რაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი გახდა. დაზარალებულს შეუძლია აგრეთვე სარჩელი წარუდგინოს იმ ხელშემკვრელი მხარის სასამართლოს, რომლის ტერიტორიაზეც საცხოვრებელი ადგილი აქვს მოპასუხეს. კონვენციის 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ 42-ე მუხლით მონესრიგებული შემთხვევები განეკუთვნება ხელშემკვრელი მხარის სასამართლოების განსაკუთრებულ კომპეტენციას.

მოცემულ შემთხვევაში შუამდგომლობის ავტორი მოითხოვს რუსეთის ფედერაციის ქ.ვოლგოგრადის ტრაქტოროზავოდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას, რომლითაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ტ. ტ-ის ძე ა-ის სასარგებლოდ დაეკისრა: ა. შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის გამო ერთჯერადი სადაზღვევო გადასახადი 69638 რუბლის ოდენობით; ბ. შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის გამო, ყოველთვიური სადაზღვევო გადასახადის დავალიანება 2330399 რუბლის ოდენობით; გ. კომპენსაცია მორალური ზიანისათვის 600000 რუბლის ოდენობით; დ. 2009 წლის 1 ოქტომბრიდან, ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის გამო 33479 რუბლის გადახდა. საქმის მასალებით დგინდება, რომ მოპასუხისათვის მოსარჩელე ტ. ა-ის სასარგებლოდ თანახმის გადახდის დაკისრებას სასამართლომ საფუძვლად დაუდო საქართველოში, კერძოდ, ქ.ტყიბულში მდებარე ორჯონიკიძის სახელობის შახტაში მოსარჩელის დასახიჩრების ფაქტი, რის შედეგადაც მას დაუდგინდა პროფესიული შრომისუნარიანობის 50%-ით, ხოლო საერთო შრომისუნარიანობის 35%-ით დაკარგვა.

ამდენად, ნათელია, რომ რუსეთის ფედერაციის სასამართლომ განიხილა საქმე ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე დადგა. მოცემული საქმე საქართველოს სასამართლოების განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ მინსკის კონვენციის 42-ე მუხლის მიხედვით. აღნიშნული გარემოება კი, კონვენციის 55-ე მუხლის შესაბამისად, წარმოდგენილი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ მინსკის კონვენციით და

დაადგინა:

1. ტ. ა-ის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ.ვოლგოგრადის ტრაქტოროზავოდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილების (საქმე №2-403/2009) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-2673-შ-55-2012

2 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს 2010 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილებით ი. მ-ის ასულ ლ-სა და გ. გ-ის ძე ლ-ს შორის 2004 წლის 18 დეკემბერს ქ.თბილისის ქორწინების სასახლეში რეგისტრირებული №მნ 0047152 ქორწინება გაუქმდა, ქორწინების გაუქმების ბაჟი სახელმწიფოს სასარგებლოდ გადახდილ იქნა ერთი ბაზისური სიდიდით თითოეული მხარის მიერ, განქორწინების შემდგომ მონარჩელეს მიეკუთვნა გვარი ლ-ა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მონართა მოპასუხე გ. ლ-მ და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება შემდეგი: ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინ-

სკის საქარხნო რაიონის სასამართლოს 2010 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება მხარეებს არ გაუსაჩივრებიათ და ის შესულია კანონიერ ძალაში 2010 წლის 1 ოქტომბრიდან, ირკვევა, რომ მოპასუხე საქმის განხილვის თაობაზე ინფორმირებული იყო, თუმცა არ გამოცხადდა და მოითხოვა საქმის მის დაუსწრებლად განხილვა, ამასთან, ცნო სარჩელი. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით ასევე დადასტურებულია გადაწყვეტილების მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულების ფაქტი, ასევე საქმეში წარმოდგენილია ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს გზავნილი, რომელიც საქართველოში ჩაბარდა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს.

სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის საფუძველზე შუამდგომლობის ავტორმა დამატებით წარმოადგინა საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი, ასევე განმარტა, რომ 2010 წლის 27 ნოემბერს ჯვარი დაინერა მოქალაქე თ. ც-ზე და სურს გააფორმოს მასთან სამოქალაქო ქორწინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 ივლისის განჩინებით გ. ლ-ს შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ გ. ლ-ს შუამდგომლობა ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს 2010 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს 2010 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება მხარეებს არ გაუსაჩივრებიათ და ის შესულია კანონიერ ძალაში 2010 წლის 1 ოქტომბრიდან, ირკვევა, რომ მოპასუხე საქმის განხილვის თაობაზე ინფორმირებული იყო, თუმცა არ გამოცხადდა და მოითხოვა საქმის მის დაუსწრებლად განხილვა, ამასთან, ცნო სარჩელი. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით ასევე დადასტურებულია გადაწყვეტილების მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულების ფაქტი, ასევე საქმეში წარმოდგენილია ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს გზავნილი, რომელიც საქარ-

თველოში ჩაბარდა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს. ირკვევა ის, რომ შუამდგომლობის ავტორი საქართველოს მოქალაქეა, მხარის წერილობითი განმარტებით ასევე დასტურდება, რომ 2010 წლის 27 ნოემბერს მან ჯვარი დაინერა მოქალაქე თ. ც-ზე და სურს გააფორმოს მასთან სამოქალაქო ქორწინება.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამავე მუხლის მე-5 ნაწილით კი დადგენილია, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე ნორმის მე-2 ნაწილით კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შუამდგომლობაში მითითებული გადაწყვეტილება მისი საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს უარი ეთქმევა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. ამდენად, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა არ ხდება, თუ: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით ასევე დადგენილია გარკვეული შეზღუდვები, თუმცა საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდე-

ნად, ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს 2010 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ლ-ს შუამდგომლობა ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს 2010 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს 2010 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ი. მ-ის ასულ ლ-სა და გ. გ-ის ძე ლ-ს შორის 2004 წლის 18 დეკემბერს ქ.თბილისის ქორწინების სასახლეში რეგისტრირებული №მნ 0047152 ქორწინება გაუქმდა, ქორწინების გაუქმების ბაჟი სახელმწიფოს სასარგებლოდ გადახდილ იქნა ერთი ბაზისური სიდიდით თითოეული მხარის მიერ, განქორწინების შემდგომ მოსარჩელეს მიეკუთვნა გვარი ლ-ა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

ბანრინება

№ა-3108-შ-64-2012

4 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

რუდოლშტადტის საოლქო სასამართლოს ზაალფელდის ფილიალის 2011 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით 1999 წლის 27 აპრილს საქართველოს ქ.თბილისის მოქალაქეთა მდგომარეობის ჩამწერი განყოფილების მიერ რეგისტრირებული №494/1999 ქორწინება რ. ლ-სა და უ. ნ-ს შორის შეწყვეტილ იქნა მხარეთა განქორწინების გამო, მეუღლეთა შორის წილების დაბალანსებას ადგილი არ ჰქონია, ხოლო სასამართლო პროცესთან დაკავშირებული ხარჯები ერთმანეთის სასარგებლოდ დაეკისრათ მხარეებს.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა უ. ნ-მა და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამოწმებული გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 28 მაისიდან, ირკვევა, რომ მხარეები საქმის განხილვის თაობაზე ინფორმირებული იყვნენ დადგენილი წესით (მონაწილეობდნენ წარმომადგენლის მეშვეობით), საქმეში წარმოდგენილი საოჯახო წიგნის აპოსტილით დამოწმებული ასლის თანახმად, გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც უ. ნ-ი მოითხოვს, აღსრულებულია მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე, ხოლო უ. ნ-ის პირადობის მოწმობის ასლის თანახმად, შუამდგომლობის ავტორი საქართველოს მოქალაქეა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქმოალაქო საქმე-

თა პალატის 2012 წლის 1 აგვისტოს განჩინებით უ. ნ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ უ. ნ-ის შუამდგომლობა რუდოლშტადტის საოლქო სასამართლოს ზაალფელდის ფილიალის 2011 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით უტყუარად დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 28 მაისიდან, ირკვევა, რომ მხარეები საქმის განხილვის თაობაზე ინფორმირებული იყვნენ დადგენილი წესით (მონაწილეობდნენ წარმომადგენლის მეშვეობით), საქმეში წარმოდგენილი საოჯახო წიგნის აპოსტილით დამოწმებული ასლის თანახმად, გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც უ. ნ-ი მოითხოვს, აღსრულებულია მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე, ხოლო უ. ნ-ის პირადობის მოწმობის ასლის თანახმად, შუამდგომლობის ავტორი საქართველოს მოქალაქეა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამავე მუხლის მე-5 ნაწილით კი დადგენილია, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე ნორმის მე-2 ნაწილით კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შუამდგომლობაში მითითებული გადაწყვეტილება მისი საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს უარი ეთქმევა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. ამდენად, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა არ ხდება, თუ: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამომცხების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რო-

მელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით ასევე დადგენილია გარკვეული შეზღუდვები, თუმცა საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, რუდოლშტადტის საოლქო სასამართლოს ზაალფელდის ფილიალის 2011 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. უ. ნ-ის შუამდგომლობა რუდოლშტადტის საოლქო სასამართლოს ზაალფელდის ფილიალის 2011 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას რუდოლშტადტის საოლქო სასამართლოს ზაალფელდის ფილიალის 2011 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება, რომლითაც 1999 წლის 27 აპრილს საქართველოს ქ.თბილისის მოქალაქეთა მდგომარეობის ჩამწერი განყოფილების მიერ რეგისტრირებული №494/1999 ქორწინება რ. ლ-სა და უ. ნ-ს შორის შეწყვეტილ იქნა მხარეთა განქორწინების გამო, მეუღლეთა შორის წილების დაბალანსებას ადგილი არ ჰქონია, ხოლო სასამართლო პროცესთან დაკავშირებული ხარჯები ერთმანეთის სასარგებლოდ დაეკისრათ მხარეებს.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-1833-შ-36-2012

11 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: შვილად აყვანა

აღწერილობითი ნაწილი:

საბერძნეთის ქ. პირეას სასამართლოს 2010 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით მ. გ-ს ე-ის ძის და ი. ბ-ის განცხადება დაკმაყოფილდა, საქართველოს მოქალაქე ს. ბ. ცნობილ იქნა მ. გ. ე-ის ძის და ი. ბ-ის შვილად.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ი. ბ-მა და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი საბერძნეთის ქ. პირეას სასამართლოს 2010 წლის 30 იანვრის და ამავე სასამართლოს 2010 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს საელჩოს მიერ ლეგალიზებული გადაწყვეტილებისა და მისი თარგმანის შესწავლით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, განხილულ იქნა სასამართლოს დახურულ სხდომაზე და მოპასუხე მასში მონაწილეობას წარმომადგენლის მემკვიდრით იღებდა, დადენილია, რომ მხარემ (შვილად ამყვანმა) თანხმობა განაცხადა საქართველოს მოქალაქის შვილად აყვანაზე, სასამართლომ მისი კომპეტენციის ფარგლებში შეამოწმა და დაადგინა, რომ შვილად აყვანა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას – სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნებს. ამავე გადაწყვეტილებით დადგენილია ის გარემოება, რომ შვილად ასაყვანი პირი – ს. ბ-ი საქართველოს მოქალაქეა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 მაისის განჩინებით მოცემული შუამ-

დგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ი. ბ-ის შუამდგომლობა საბერძნეთის ქ. პირეას სასამართლოს 2010 წლის 30 იანვრის და ამავე სასამართლოს 2010 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საბერძნეთის ქ. პირეას სასამართლოს 2010 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით მ. გ. ე-ის ძის და ი. ბ-ის განცხადება დაკმაყოფილდა, საქართველოს მოქალაქე ს. ბ. ცნობილ იქნა მ. გ. ე-ის ძის და ი. ბ-ის შვილად.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი საბერძნეთის ქ. პირეას სასამართლოს 2010 წლის 30 იანვრის და ამავე სასამართლოს 2010 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს საელჩოს მიერ ლეგალიზებული გადაწყვეტილებისა და მისი თარგმანის შესწავლით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, განხილულ იქნა სასამართლოს დახურულ სხდომაზე და მოპასუხე მასში მონაწილეობას წარმომადგენლის მემკვიდრით იღებდა, დადენილია, რომ მხარემ (შვილად ამყვანმა) თანხმობა განაცხადა საქართველოს მოქალაქის შვილად აყვანაზე, სასამართლომ მისი კომპეტენციის ფარგლებში შეამოწმა და დაადგინა, რომ შვილად აყვანა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას – სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნებს. ამავე გადაწყვეტილებით დადგენილია ის გარემოება, რომ შვილად ასაყვანი პირი – ს. ბ-ი საქართველოს მოქალაქეა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებუ-

ლი დანაწესები დაცულია, ამდენად, საბერძნეთის ქ. პირეას სასამართლოს 2010 წლის 30 იანვრის და ამავე სასამართლოს 2010 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ი. ბ-ის შუამდგომლობა საბერძნეთის ქ. პირეას სასამართლოს 2010 წლის 30 იანვრის და ამავე სასამართლოს 2010 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას საბერძნეთის ქ. პირეას სასამართლოს 2010 წლის 30 იანვრის და ამავე სასამართლოს 2010 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს მოქალაქე ს. ბ-ი ცნობილ იქნა მ. გ. ე-ის ძის და ი. ბ-ის შვილად.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

ბანდინება

№ა-1846-შ-37-2012

15 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიჭვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ალიმენტის (სარჩოს) დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით სასამართლომ დაადგინა შემდეგი:

1. ნებას რთავს ცოლ-ქმარ დ. მ-ისა და ი. მ-ს იცხოვრონ ცალ-ცალკე ორი წლის ვადით, ანუ 2012 წლის 31 ოქტომბრამდე;

2. ნებას რთავს ი. მ-ს დაიბრუნოს თავისი ტანსაცმელი, აგრეთვე პირადი დოკუმენტები და ნივთები.

3. აცხადებს, რომ დ. მ-ი მონაწილეობას მიიღებს მეუღლის რჩენაში, 3000 ფრანკის ოდენობის ყოველთვიური ალიმენტის რეგულარულად გადახდით. თანხას ხელზე გადაუხდის ი. მ-ს, წინასწარ, ყოველი თვის პირველ რიცხვში, აღნიშნული თარიღით დაწყებული, ანუ 2009 წლის 1 დეკემბრიდან.

4. აცხადებს ცოლ-ქმარ დ. მ-ისა და ი. მ-ს ქონების გამიჯვნის რეჟიმს, დაუყოვნებლივ აღსრულებით.

5. არ აკმაყოფილებს მხარეების არცერთ სხვა, ან შემდგომ მოთხოვნებს.

6. აცხადებს, რომ გადაწყვეტილება გამოტანილია მოსაკრებლისა და სასამართლო ხარჯების გარეშე.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 22 სექტემბერს და შვეიცარიის ტერიტორიაზე აღსრულდა ნაწილობრივ, კერძოდ, დ. მ-მა გადაიხადა მხოლოდ 2009 წლის დეკემბრის თვის ალიმენტი.

ი. მ-მა მიმართა შვეიცარიაში ვოდის კანტონში (შუამდგომლობის ავტორი საცხოვრებელი ადგილი 2009-2010წწ.) „სარჩოს/

ალიმენტის გადახის აღსრულებისა და ავანსების გაცემის ოფისს“ (BRAPA), რომელიც სარჩოსა და ალიმენტების გადახდასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების უფასო აღსრულებას ახორციელებს, სადაც დღევანდელი მდგომარეობით მიმდინარეობს ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების აღსრულება მხოლოდ ცხრა თვის საალიმენტო თანხაზე, კერძოდ, 2010 წლის 1 მაისიდან 2011 წლის 31 იანვრამდე.

ი. მ-ის წარმომადგენელმა ნ. ბ-მ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის (სარჩოს) დაკისრების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 მაისის განჩინებით ი. მ-ის წარმომადგენელ ნ. ბ-ის შუამდგომლობა შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის (სარჩოს) დაკისრების ნაწილში მიღებულ იქნა წარმოებაში.

2012 წლის 8 ოქტომბერს ი. მ-ის წარმომადგენელმა ნ. ბ-მ წარმოადგინა დაზუსტებული შუამდგომლობა და მოითხოვა შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება ალიმენტის (სარჩოს) დაკისრების ნაწილში 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 მაისამდე და 2011 წლის 1 თებერვლიდან საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების განხორციელების მომენტამდე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ი.მ-ის წარმომადგენელ ნ. ბ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით სასამართლომ დაადგინა შემდეგი:

1. ნებას რთავს ცოლ-ქმარ დ. მ-სა და ი.მ-ს იცხოვრონ ცალ-ცალკე ორი წლის ვადით, ანუ 2012 წლის 31 ოქტომბრამდე;

2. ნებას რთავს ი. მ-ს დაიბრუნოს თავისი ტანსაცმელი, აგრეთვე პირადი დოკუმენტები და ნივთები.

3. აცხადებს, რომ დ. მ-ი მონაწილეობას მიიღებს მეუღლის რჩენაში, 3000 ფრანკის ოდენობის ყოველთვიური ალიმენტის რეგულარულად გადახდით. თანხას ხელზე გადაუხდის ი. მ-ს, წინასწარ, ყოველი თვის პირველ რიცხვში, აღნიშნული თარიღით დაწყებული, ანუ 2009 წლის 1 დეკემბრიდან.

4. აცხადებს ცოლ-ქმარ დ. მ-ისა და ი. მ-ს ქონების გამიჯვნის რეჟიმს, დაუყოვნებლივ აღსრულებით.

5. არ აკმაყოფილებს მხარეების არცერთ სხვა, ან შემდგომ მოთხოვნებს.

6. აცხადებს, რომ გადაწყვეტილება გამოტანილია მოსაკრებლისა და სასამართლო ხარჯების გარეშე.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 22 სექტემბერს და შვეიცარიის ტერიტორიაზე აღსრულდა ნაწილობრივ, კერძოდ, დ. მ-მა გადაიხადა მხოლოდ 2009 წლის დეკემბრის თვის ალიმენტი.

ი. მ-მა მიმართა შვეიცარიაში ვოდის კანტონში (შუამდგომლობის ავტორი საცხოვრებელი ადგილი 2009-2010წწ.) „სარჩოს/ალიმენტის გადახის აღსრულებისა და ავანსების გაცემის ოფისს“ (BRAPA), რომელიც სარჩოსა და ალიმენტების გადახდასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების უფასო აღსრულებას ახორციელებს, სადაც დღევანდელი მდგომარეობით მიმდინარეობს ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების აღსრულება მხოლოდ ცხრა თვის საალიმენტო თანხაზე, კერძოდ, 2010 წლის 1 მაისიდან 2011 წლის 31 იანვრამდე.

ი. მ-ის წარმომადგენელმა ნ. ბ-მ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის (სარჩოს) დაკისრების ნაწილში 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 მაისამდე და 2011 წლის 1 თებერვლიდან საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების განხორციელების მომენტამდე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3

და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება ალიმენტის (სარჩოს) დაკისრების ნაწილში 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 მაისამდე და 2011 წლის 1 თებერვლიდან საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების განხორციელების მომენტამდე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ი. მ-ის წარმომადგენელ ნ. ბ-ის შუამდგომლობა შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის (სარჩოს) დაკისრების ნაწილში, 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 მაისამდე და 2011 წლის 1 თებერვლიდან საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების განხორციელების მომენტამდე, დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც დ. მ-ს დაევალა მეუღლის რჩენაში მონაწილეობის მიიღება, 3000 ფრანკის ოდენობის ყოველთვიური ალიმენტის რეგულარულად გადახდით. თანხას ხელზე გადაუხდის ი. მ-ს, წინასწარ, ყოველი თვის პირველ რიცხვში, აღნიშნული თარიღით დაწყებული, ანუ 2009 წლის 1 დეკემბრიდან.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

ბანჩინება

№ა-3544-შ-71-2012

25 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

ისრაელის ხაიფას საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით (განაჩენით) 2000 წლის 18 დეკემბერს ი. გ-სა და ვ-ა ბ-ს შორის საქართველოში რეგისტრირებული ქორწინება გაუქმდა. ინფორმაცია განქორწინების შესახებ მიენოდა შსს-ს. აღნიშნული გადაწყვეტილება (განაჩენი) ძალაშია 2012 წლის 28 აგვისტოდან. ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსახლეობის რეესტრის ამონაწერით დასტურდება ისრაელის ხაიფას საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულება.

ი. გ-ის წარმომადგენელმა შ. კ-მ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ისრაელის ხაიფას საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილების (განაჩენის) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2012 წლის 24 სექტემბრის განჩინებით ი. გ-ის წარმომადგენელ შ. კ-ის შუამდგომლობა ისრაელის ხაიფას საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილების (განაჩენის) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკაცაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ი. გ-ის წარმომადგენელ შ. კ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ისრაელის ხაიფას საოჯახო საქმეთა სასა-

მართლოს 2009 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით (განაჩენით) 2000 წლის 18 დეკემბერს ი. გ-სა და ვ. ბ-ს შორის საქართველოში რეგისტრირებული ქორწინება გაუქმდა. ინფორმაცია განქორწინების შესახებ მიენოდა შსს-ს. აღნიშნული გადაწყვეტილება (განაჩენი) ძალაშია 2012 წლის 28 აგვისტოდან. ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსახლეობის რეესტრის ამონაწერით დასტურდება ისრაელის ხაიფას საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულება.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამატკბორებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, ისრაელის ხაიფას საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ი. გ-ის წარმომადგენელ შ. კ-ის შუამდგომლობა ისრაელის ხაიფას საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილების (განაჩენის) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას ისრაელის ხაიფას საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება (განაჩენი), რომლითაც 2000 წლის 18 დეკემბერს ი. გ-სა და ვ. ბ-ს შორის საქართველოში რეგისტრირებული ქორწინება გაუქმდა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-2172-შ-48-2012

30 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

ისრაელის იერუსალიმის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2011 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით ქ.თბილისში, 1994 წლის 20 აგვისტოს გ. ნ-სა და ე. ს-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება გაუქმდა. ინფორმაცია განქორწინების შესახებ მიენოდა შსს-ს. აღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა ძალაში 2011 წლის 11 დეკემბერს.

გ. ნ-მ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ისრაელის იერუსალიმის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2011 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2012 წლის 1 ივნისის განჩინებით გიორგი ნოდიას შუამდგომლობა ისრაელის იერუსალიმის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2011 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ გ. ნ-ს შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ისრაელის იერუსალიმის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2011 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით ქ.თბილისში, 1994 წლის 20 აგვისტოს გ. ნ-სა და ე. ს-ს შორის

რეგისტრირებული ქორწინება გაუქმდა. ინფორმაცია განქორწინების შესახებ მიენოდა შსს-ს. აღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა ძალაში 2011 წლის 11 დეკემბერს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამატკობლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, ისრაელის იერუსალიმის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2011 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. გ. ნ-ს შუამდგომლობა ისრაელის იერუსალიმის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2011 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას ისრაელის იერუსალიმის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2011 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ქ.თბილისში, 1994 წლის 20 აგვისტოს გ. ნ-სა და ე. ს-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება გაუქმდა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

განჩინება

№ა-2780-შ-59-2012

16 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიჭვილი,
ბ. ალავეიძე**

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ქ.ოფფენბახის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2012 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით (საქმე № 309 ფ 1457/11) ბათილად იქნა ცნობილი 2007 წლის 27 ოქტომბერს ქ.ოფფენბახის მმარის განყოფილების მიერ რეგისტრირებული ქორწინება მხარეებს – ა. კ.-ისა და ა.ჯ.-კ.-ის შორის (ნომერი 340-2007).

ა. ჯ.-კ.-იმ წარმომადგენელ ლ. გ.-ის მეშვეობით შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა დასახელებულ ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 ივლისის განჩინებით ა. ჯ.-კ.-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ა. ჯ.-კ.-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის ქ.ოფფენბახის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2012 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით (საქმე № 309 ფ 1457/11) ბათილად იქნა ცნობილი 2007 წლის 27 ოქტომბერს ქ.ოფფენბახის მმარის განყოფილების მიერ რეგისტრირებული ქორწინება მხარეებს – ა. კ.-ისა და ა. ჯ.-კ.-ის შორის (ნომერი 340-2007).

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, გერმანიის ქ.ოფფენბახის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2012 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება (საქმე № 309 ფ 1457/11), რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი 2007 წლის 27 ოქტომბერს ქ.ოფფენბახის მმარის განყოფილების მიერ რეგისტრირებული ქორწინება მხარეებს – ა. კ-ისა და ა. ჯ.-კ-ის შორის (ნომერი 340-2007), საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ა. ჯ.-კ-ის შუამდგომლობა გერმანიის ქ.ოფფენბახის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2012 წლის 9 მარტის გადაწყვეტილების (საქმე № 309 ფ 1457/11) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის ქ.ოფფენბახის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2012 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება (საქმე № 309 ფ 1457/11), რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი 2007 წლის 27 ოქტომბერს ქ.ოფფენბახის მმარის განყოფილების მიერ რეგისტრირებული ქორწინება მხარეებს – ა. კ-ისა და ა. ჯ.-კ-ის შორის (ნომერი 340-2007).

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-2121-შ-44-2012

23 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიჭვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის განაჩენით ა. მ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: დადგინდა ვ. რ-ის ძე მ-ისათვის ალიმენტის ჩამორთმევა, ტ. ვ-ის ძე მ-ის (დაბადებულის 2002 წლის ... ივლისს) და დ. ვ-ის ძე მ-ის (დაბადებულის 2004 წლის ... ოქტომბერს) სარჩენად, მათ სრულწლოვანდებად, ა. რ-ის ასული მ-ის სასარგებლოდ ყოველთვიური გადასახადების საშუალებით, სტაბილური ფულადი თანხით, თითოეული ბავშვისათვის ყოველთვიურად 20000 დრამის ოდენობით. ამავე დროულად დადგინდა, რომ ალიმენტის გამოყოფა მომხდარიყო სასამართლოსათვის მიმართვის დროიდან, 2011 წლის 11 მარტიდან.

ა. მ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება მოპასუხისათვის ალიმენტის დაკისრების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 მაისის განჩინებით ა. მ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ა. მ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბერის განაჩენით ა. მ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: დადგინდა ვ. რ-ის ძე მ-ისათვის ალიმენტის ჩამორთმევა, ტ. ვ-ის ძე მ-ის (დაბადებულის 2002 წლის ... ივლისს) და დ. ვ-ის ძე მ-ის (დაბადებულის 2004 წლის ... ოქტომბერს) სარჩენად, მათ სრულწლოვანებამდე, ა. რ-ის ასული მ-ის სასარგებლოდ ყოველთვიური გადასახადების საშუალებით, სტაბილური ფულადი თანხით, თითოეული ბავშვისათვის ყოველთვიურად 20000 დრამის ოდენობით. ამავდროულად დადგინდა, რომ ალიმენტის გამოყოფა მომხდარიყო სასამართლოსათვის მიმართვის დროიდან, 2011 წლის 11 მარტიდან.

ასევე დადგენილია, რომ ზემოაღნიშნულ ნაწილში გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 17 ოქტომბერს. ამასთან, იგი სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავ ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს ა. მ-ის შუამდგომლობის დაკმაყოფილების და სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბერის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ა. მ-ის შუამდგომლობა სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის

ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის განაჩენი იმ ნაწილში, რომლითაც ა. მ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: დადგინდა ვ. რ-ის ძე მ-ისათვის ალიმენტის ჩამორთმევა, ტ. ვ-ის ძე მ-ის (დაბადებულის 2002 წლის ... ივლისს) და დ. ვ-ის ძე მ-ის (დაბადებულის 2004 წლის ... ოქტომბერს) სარჩენად, მათ სრულწლოვანდებამდე, ა. რ-ის ასული მ-ის სასარგებლოდ ყოველთვიური გადასახადების საშუალებით, სტაბილური ფულადი თანხით, თითოეული ბავშვისათვის ყოველთვიურად 20000 დრამის ოდენობით, ამავდროულად დადგინდა, რომ ალიმენტის გამოყოფა მომხდარიყო სასამართლოსათვის მიმართვის დროიდან, 2011 წლის 11 მარტიდან;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გააჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-1812-შ-39-2013

8 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეიძე**

დავის საგანი: შვილება

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის ლუგანსკის ოლქის სტახანოვის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნ. ე. ასული რ-ას განცხადება შეილად აყვანის შესახებ სრულად დაკმა-

ყოფილდა:

უკრაინის მოქალაქე ნ. ე. ასულმა რ-ამ, დაბადებულმა ... წლის ... ივლისს, იშვილა საქართველოს მოქალაქე ს. ფ-ა, დაბადებული ... წლის ... აგვისტოს;

დადგინდა, რომ ცვლილება შევიდეს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს წალენჯიხის სამსახურში ... წლის ... აგვისტოს შედგენილ დაბადების სააქტო ჩანაწერში №59200810115;

ასევე დადგინდა, რომ დედად ჩაინეროს – უკრაინის მოქალაქე ნ. ე. ასული რ-ა, დაბადებული ... წლის ... ივლისს;

საქართველოს მოქალაქე ს. ფ-ას დაბადების თარიღი და დაბადების ადგილი დარჩა უცვლელად.

ნ. ე. ასულმა რ-ამ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადანაცვლებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსასრულებლად მიქცევა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 29 მაისის განჩინებით ნ. რ-ას შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ნ. ე. ასული რ-ას შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დგინდება, რომ უკრაინის ლუგანსკის ოლქის სტახანოვის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 17 სექტემბრის გადანაცვლებით ნ. ე. ასული რ-ას განცხადება შვილად აყვანის შესახებ სრულად დაკმაყოფილდა: უკრაინის მოქალაქე ნ. ე. ასულმა რ-ამ, დაბადებულმა ... წლის ... ივლისს, იშვილა საქართველოს მოქალაქე ს. ფ-ა, დაბადებული ... წლის ... აგვისტოს; დადგინდა, რომ ცვლილება შევიდეს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს წალენჯიხის სამსახურში ... წლის ... აგვისტოს შედგენილ დაბადების სააქტო ჩანაწერში №59200810115; ასევე დადგინდა, რომ დედად ჩაინეროს – უკრაინის მოქალაქე ნ. ე. ასული რ-ა, დაბადებული ... წლის ... ივლისს; საქართველოს მოქალაქე ს. ფ-ას დაბადების თარიღი და დაბადების ადგილი დარჩა უცვლელად.

ასევე დგინდება, რომ ხსენებული გადანაცვლება შესულია კანონიერ ძალაში და გადანაცვლების გამომტანი ქვეყნის ტერიტორიაზე იგი არ აღსრულებულა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს

კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, უკრაინის ლუგანსკის ოლქის სტახანოვის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ე. ასული რ-ას განცხადება შვილად აყვანის შესახებ სრულად დაკმაყოფილდა: უკრაინის მოქალაქე ნ. ე. ასულმა რ-ამ, დაბადებულმა ... წლის ... ივლისს, იშვილა საქართველოს მოქალაქე ს. ფ-ა, დაბადებული ... წლის ... აგვისტოს; დადგინდა, რომ ცვლილება შევიდეს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს წალენჯიხის სამსახურში ... წლის ... აგვისტოს შედგენილ დაბადების სააქტო ჩანაწერში №59200810115; ასევე დადგინდა, რომ დედად ჩაინეროს – უკრაინის მოქალაქე ნ. ე. ასული რ-ა, დაბადებული ... წლის ... ივლისს; საქართველოს მოქალაქე ს. ფ-ას დაბადების თარიღი და დაბადების ადგილი დარჩა უცვლელად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

ამავდროულად, არსებობს დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის კანონით გათვალისწინებული საფუძველი, კერძოდ, შუამდგომლობა აკმაყოფილებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შუამდგომლობის ავტორი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ უნდა იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის ლუგანსკის ოლქის სტახანოვის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხ-

ლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ნ. ე. ასული რ-ას შუამდგომლობა უკრაინის ლუგანსკის ოლქის სტახანოვის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის ლუგანსკის ოლქის სტახანოვის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ე. ასული რ-ას განცხადება შვილად აყვანის შესახებ სრულად დაკმაყოფილდა: უკრაინის მოქალაქე ნ. ე. ასულმა რ-ამ, დაბადებულმა ... წლის ... ივლისს, იშვილა საქართველოს მოქალაქე ს. ფ-ა, დაბადებული ... წლის ... აგვისტოს; დადგინდა, რომ ცვლილება შევიდეს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს წალენჯიხის სამსახურში ... წლის ... აგვისტოს შედგენილ დაბადების სააქტო ჩანაწერში №59200810115; ასევე დადგინდა, რომ დედად ჩაინეროს – უკრაინის მოქალაქე ნ. ე. ასული რ-ა, დაბადებული ... წლის ... ივლისს; საქართველოს მოქალაქე ს. ფ-ას დაბადების თარიღი და დაბადების ადგილი დარჩა უცვლელად.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

ბანრინება

№ა-2265-შ-65-2014

24 ივლისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

სომხეთის რესპუბლიკის არმავირის რეგიონის საერთო იუ-რისპრუდენციის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2014 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილებით ს. ა-ის განცხადება დაკმაყოფილდა და განმცხადებლის ბავშვის მამა, ე. ქ. ძე ი-ი აღიარებულ იქნა უგზო-უკვლოდ დაკარგულად 2013 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა ს. ა-მა და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ ის კანონიერ ძალაში შევიდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. იმავე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით კი, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

სომხეთის რესპუბლიკის არმავირის რეგიონის საერთო იუ-

რისპრუდენციის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2014 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილებით ს. ა-ის განცხადება დაკმაყოფილდა და განმცხადებლის ბავშვის მამა, ე. ქ. ძე ი-ი აღიარებული იქნა უგზო-უკვლოდ დაკარგულად 2013 წლის 1 იანვრიდან.

შუამდგომლობის ავტორი ს. ა-ი აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის იურიდიულ ინტერესად მიუთითებს იმ გარემოებას, რომ მას, როგორც საქართველოს მოქალაქეს, სურს თავისი არასრულწლოვანი შვილისათვის ორმაგი მოქალაქეობის მინიჭება, რისთვისაც საჭიროა ორივე მშობლის თანხმობის წარდგენა. ა. ი-ის მამა ე. ი-ი კი, ცნობილია უგზო-უკვლოდ დაკარგულად.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის დამაბრკოლებელი გარემოებები, ამასთან მხარე მიუთითებს დასაბუთებული იურიდიული ინტერესის არსებობაზე, რის გამოც ს. ა-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ს. ა-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე სომხეთის რესპუბლიკის არმავირის რეგიონის საერთო იურისპრუდენციის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2014 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც ს. ა-ის განცხადება დაკმაყოფილდა და განმცხადებლის ბავშვის მამა, ე. ქ. ძე ი-ი აღიარებული იქნა უგზო-უკვლოდ დაკარგულად 2013 წლის 1 იანვრიდან;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

ბანკინება

№ა-810-შ-23-2014

7 აპრილი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიჭვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

ბელორუსის რესპუბლიკის ვიტებსკის ოლქის უშაჩის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებით კ. თ-სა და ზ. ა-ს ნ. ა-ო-ი ბ-ის სასარგებლოდ თანაბარწილად დაეკისრათ სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი 90 100 000 ბელორუსული რუბლის, პროცენტის – 5 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი 45 050 000 ბელორუსული რუბლისა და მოსარჩელის მიერ სარჩელის აღძვრის გამო გადახდილი ბაჟის – 2 165 000 ბელორუსული რუბლის, სულ – 137 315 000 ბელორუსული რუბლის ანაზღაურება, ამავე გადაწყვეტილებით კ. თ-სა და ზ. ა-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ თანაბარწილად დაეკისრათ სახელმწიფო ბაჟის – 4 592 500 ბელორუსული რუბლის გადახდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მონათა ბელორუსის რესპუბლიკის ვიტებსკის ოლქის უშაჩის რაიონულმა სასამართლომ და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება კ. თ-ის სახელმწიფო ბაჟის – 2 296 250 ბელორუსული რუბლის დაკისრების ნაწილში.

საკასაციო სასამართლოს ასევე მომართა შუამდგომლობით ნ. ა-ო-ი ბ-მა და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება კ. თ-ის თანხის – 68 657 500 ბელორუსული რუბლის დაკისრების ნაწილში.

შუამდგომლობაზე თანდართული მასალების შესწავლით

დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებასაც შუამდგომლობის ავტორები მოითხოვენ, შესულია კანონიერ ძალაში, მოპასუხეები საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე ჯერონად იყვნენ ინფორმირებული და ჩაბარდათ სასარჩელო განცხადება, თავად გადაწყვეტილებით კი დასტურდება, რომ კ. თ-ა სასამართლო სხდომას ესწრებოდა და სარჩელი ცნო.

საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ გაცემული ცნობით დასტურდება ასევე, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე ნაწილობრივ აღსრულებულია, თუმცა 2014 წლის 7 თებერვლის მდგომარეობით დავალიანება შეადგენს 68 657 500 ბელორუსულ რუბლს, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის – 2 296 250 ბელორუსული რუბლის ნაწილში არ აღსრულებულა გადაწყვეტილება ბელორუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ასევე ირკვევა, რომ მოპასუხე კ. თ-ას მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არარსებობამ განაპირობა ბელორუსის ტერიტორიაზე გადაწყვეტილების აღსრულებლობა, ხოლო საქმეში წარმოდგენილი დადგენილების თანახმად, კ. თ-ა დეპორტირდა საქართველოში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 12 მარტის განჩინებით ბელორუსის რესპუბლიკის ვიტებსკის ოლქის უშაჩის რაიონული სასამართლოს და ნ. ა-ო-ი ბ-ის შუამდგომლობები სახელმწიფო ბაჟის – 2296250 ბელორუსული რუბლისა და დავალიანების – 68657500 ბელორუსული რუბლის კ. თ-ის დაკისრების ნაწილში ბელორუსის რესპუბლიკის ვიტებსკის ოლქის უშაჩის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ბელორუსის რესპუბლიკის ვიტებსკის ოლქის უშაჩის რაიონული სასამართლოს და ნ. ა-ო-ი ბ-ის შუამდგომლობები სახელმწიფო ბაჟის – 2296250 ბელორუსული რუბლისა და დავალიანების – 68657500 ბელორუსული რუბლის კ. თ-ის დაკისრების ნაწილში ბელორუსის რესპუბლიკის ვიტებსკის ოლქის უშაჩის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრუ-

ლების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ბელორუსის რესპუბლიკის ვიტებსკის ოლქის უშაჩის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებით კ. თ-სა და ზ. ა-ს ნ. ა-ო-ი ბ-ის სასარგებლოდ თანაბარწილად დაეკისრათ სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი 90 100 000 ბელორუსული რუბლის, პროცენტის – 5 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი 45 050 000 ბელორუსული რუბლისა და მოსარჩელის მიერ სარჩელის აღძვრის გამო გადახდილი ბაჟის – 2 165 000 ბელორუსული რუბლის, სულ – 137 315 000 ბელორუსული რუბლის ანაზღაურება, ამავე გადაწყვეტილებით კ. თ-სა და ზ. ა-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ თანაბარწილად დაეკისრათ სახელმწიფო ბაჟის – 4 592 500 ბელორუსული რუბლის გადახდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მართა ბელორუსის რესპუბლიკის ვიტებსკის ოლქის უშაჩის რაიონულმა სასამართლომ და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება კ. თ-ის სახელმწიფო ბაჟის – 2 296 250 ბელორუსული რუბლის დაკისრების ნაწილში.

საკასაციო სასამართლოს ასევე მომართა შუამდგომლობით ნ. ა-ო-ი ბ-მა და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება კ. თ-ის თანხის – 68 657 500 ბელორუსული რუბლის დაკისრების ნაწილში.

შუამდგომლობაზე თანდართული მასალების შესწავლით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებასაც შუამდგომლობის ავტორები მოითხოვენ, შესულია კანონიერ ძალაში, მოპასუხეები საქმის განხილვის დროისა და ადგილი თაობაზე ჯეროვნად იყვნენ ინფორმირებული და ჩაბარდათ სასარჩელო განცხადება, თავად გადაწყვეტილებით კი დასტურდება, რომ კ. თ-სა სამართლო სხდომას ესწრებოდა და სარჩელი ცნო.

საქმის განხილველი სასამართლოს მიერ გაცემული ცნობით დასტურდება ასევე, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე ნაწილობრივ აღსრულებულია, თუმცა 2014 წლის 7 თებერვლის მდგომარეობით დავალიანება შეადგენს 68 657 500 ბელორუსულ რუბლს, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის – 2 296 250 ბელორუსული რუბლის ნაწილში არ აღსრულებულა გადაწყვეტილება ბელორუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ასევე ირკვევა, რომ

მოპასუხე კ. თ-ას მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არარსებობამ განაპირობა ბელორუსის ტერიტორიაზე გადაწყვეტილების აღუსრულებლობა, ხოლო საქმეში წარმოდგენილი დადგენილების თანახმად, კ. თ-ა დეპორტირდა საქართველოში.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. რაც შეეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა. საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია. ამდენად, სახელმწიფო ბაჟის – 2296250 ბელორუსული რუბლისა და დავალიანების – 68657500 ბელორუსული რუბლის კ. თ-ის დაკისრების ნაწილში ბელორუსის რესპუბლიკის ვიტებსკის ოლქის უშაჩის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. ბელორუსის რესპუბლიკის ვიტებსკის ოლქის უშაჩის რაიონული სასამართლოს და ნ. ა-ო-ი ბ-ის შუამდგომლობები სახელმწიფო ბაჟისა და დავალიანების დაკისრების ნაწილში ამავე სასამართლოს 2013 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად ბელორუსის რესპუბლიკის ვიტებსკის ოლქის უშაჩის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც კ. თ-ას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 2 296 250 ბელორუსული რუბლის, ხოლო ნ. ა-ო-ი ბ-ის სასარგებლოდ დავალიანების – 68 657 500 ბელორუსული რუბლის გადახდა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-987-შ-26-2014

7 აპრილი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ქ. ნიურნბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2006 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით შეწყდა ნ. გ-სა თ. ჯ-ს შორის თბილისში 1996 წლის 2 ივლისს თბილისის მმარის ბიუროს №30 ჩანანერით რეგისტრირებული ქორწინება. დად-

გინდა, რომ განქორწინების შედეგად მეუღლეთა წილები არ თანაბრდება.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა ნ. გ-ის წარმომადგენელმა ნ. გ-მა და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ ის კანონიერ ძალაში შევიდა 2006 წლის 20 ივლისიდან და მხარეები ინფორმირებული იყვნენ საქმის განხილვის თაობაზე. გადაწყვეტილება არ აღსრულებულა გერმანიის ტერიტორიაზე.

შუამდგომლობას ასევე ერთვის თ. ჯ-ის განცხადება, რომლის თანახმადაც, ეს უკანასკნელი თანხმობას აცხადებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ზემოთ დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ნ. გ-ის შუამდგომლობა გერმანიის ქ. ნიურნბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2006 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის ქ. ნიურნბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2006 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით შეწყდა ნ. გ-სა თ. ჯ-ს შორის თბილისში 1996 წლის 2 ივლისს თბილისის მმართველის ბიუროს №30 ჩანაწერით რეგისტრირებული ქორწინება. დადგინდა, რომ განქორწინების შედეგად მეუღლეთა წილები არ თანაბრდება. გადაწყვეტილებით ასევე ირკვევა, რომ ორივე მხარე არის საქართველოს მოქალაქე, ამასთან არიან ლტოლვილის სტატუსის მქონე პირები. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ იგი ექვემდებარე საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას.

„ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ კონვენციის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად ლტოლვილს აქვს ყველა ხელშემკერედი სახელმწიფოს სასამართლოებისადმი მიმართვის უფლება, ხოლო მე-2 პუნქტის მიხედვით კი, იმ ხელშემკერედი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც ლტოლვილს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი აქვს, იგი სარგებლოს ამ სახელმწიფოს მოქალაქეების თანაბარი სამართლებრივი გარანტიებით იმ საკით-

ხებში, რომლებიც შეეხება სასამართლოსადმი მიმართვას, სამართლებრივ დახმარებასა და სასამართლო ხარჯებისაგან გათავისუფლებას.

გერმანიის ქ. ნიურნბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2006 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ ნ. გ-სა და თ. ჯ-ს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი გერმანიის ტერიტორიაზე აქვთ, შესაბამისად, ზემოაღნიშნული სასამართლო უფლებამოსილი იყო, განქორწინების საკითხი განეხილა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, გერმანიის ქ. ნიურნბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2006 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, გადაწყვეტილება გერმანიის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა, ამასთან გამოტანილია საქართველოს მოქალაქეების მიმართ, იგი უნდა აღსრულდეს საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ნ. გ-ის შუამდგომლობა გერმანიის ქ. ნიურნბერგის პირვე-

ლი ინსტანციის სასამართლოს 2006 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად გერმანიის ქ. ნიურნბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2006 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც შეწყდა ნ. გ-სა თ. ჯ-ს შორის თბილისში 1996 წლის 2 ივლისის თბილისის მმართველის ბიუროს N30 ჩანაწერით რეგისტრირებული ქორწინება. დადგინდა, რომ განქორწინების შედეგად შეუღლეთა წილები არ თანაბრდება.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-3667-შ-97-2013

14 აპრილი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის გადახდევინება

აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის ქ. ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2013 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით ა. ე. ძე შ-ის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა. მ. რ. ძე ფ-ეს ა. ე. ძე შ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 23.03.2010 წლის და 24.03.2010 წლის ხელწერილებით დავალიანების დაფარვა 2 500 000 რუბლის ოდენობით, პროცენტების საერთო თანხით 34 588,65 რუბლის ოდენობით, სხვისი ფულადი სახსრების სარგებლობისთვის პროცენტების საერთო თანხით 605 572,92 რუბლის ოდენობით თანხის გადახდა. ასევე მ. რ. ძე ფ-ეს დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ სახელმწიფო საზღაურის გადახდა

23 900 რუბლის 81 კაპ. ოდენობით.

ა. შ-ის წარმომადგენელმა დ. კ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა რუსეთის ფედერაციის ქ. ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2013 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაში შევიდა 2013 წლის 12 ივლისს, ხოლო მოპასუხე მ. ფ-ის საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ რფ სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე დაენიშნა წარმომადგენელი – ადვოკატი ნ.ნ ა-ა. ასევე დასტურდება, რომ მოცემული გადაწყვეტილება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 დეკემბრის განჩინებით ა. შ-ის წარმომადგენელ დ. კ-ის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ. ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2013 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებული იქნა წარმოებაში.

2014 წლის 25 მარტს მ. ფ-ის წარმომადგენელმა თ. ნ-მა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა. მონინაალმდეგე მხარის მოსაზრებით, აღნიშნული გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება ეწინააღმდეგება „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ ა. შ-ის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ. ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2013 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ მინსკის კონვენციის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, შუამდგომლობას თან უნდა ერთვო-

დეს დოკუმენტი რომლიდანაც გამომდინარეობს, რომ მხარე, რომლის წინააღმდეგ გამოტანილი იყო გადაწყვეტილება, და რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია პროცესში, სათანადო წესით და დროულად გამოძახებული იყო სასამართლოში, ხოლო მისი საპროცესო ქმედუნარიანობის შემთხვევაში სათანადოდ იქნა წარდგენილი. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება თუ გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები. შესაბამისად, როგორც ზემოაღნიშნული კონვენცია, ისე ქვეყნის შიდა კანონმდებლობა, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვისას ერთ-ერთ წინაპირობად მიიჩნევა საქმის განხილვასთან დაკავშირებით მხარის ინფორმირებულობა.

წარმოდგენილი საქმის მასალებით, კერძოდ კი რუსეთის ფედერაციის ქ. ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2013 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ მოპასუხის საცხოვრებელი ადგილი სასამართლოს მიერ არ იქნა დადგენილი. 25.05.2013 წლის სამისამართო ბიუროდან ცნობის თანახმად, მოპასუხე ჩაწერილი იყო ქ. ორენბურგში, ორსკის ქ. 119. ადგილზე მისვლით სასამართლო სხდომის მდივანმა დაადგინა, რომ იგი აღნიშნულ მისამართზე არ ცხოვრობდა. მოპასუხის ყოფილმა მეუღლემ, ა.ნ. ფ-ემ განმარტა, რომ მისთვის უცნობი იყო მოპასუხის საცხოვრებელი ადგილი და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები. მოპასუხის მისამართზე გაგზავნილი ყველა კორესპონდენცია დაუბრუნდა სასამართლოს აღნიშვნით ადრესატის საცხოვრებელ ადგილზე არყოფნის შესახებ, რის გამოც რფ სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლომ დაადგინა, რომ საქმეში ჩართულიყო მოპასუხის წარმომადგენლის სახით ადვოკატი ნ.ნ. ა-ა. ადვოკატმა, რომელიც მოქმედებდა ორდერის საფუძველზე, სხდომის დროს უარყო სარჩელი, მაგრამ განმარტა, რომ მას არ გააჩნდა მტკიცებულება სარჩელის უარყოფის შესახებ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ მოპასუხე მ. ფ-ე არ იყო ინფორმირებული ქ. ორენბურგის ცენტრალურ რაიონულ სასამართლოში მის წინააღმდეგ საქმის განხილვის თაობაზე.

სწორედ ამ საფუძველზე მითითებით მოითხოვა შუამდგომლობის ავტორის მონაწილეობა მხარემ შუამდგომლობის დაკ-

მაყოფილებაზე უარის თქმა. საკასაციო სასამართლო იზიარებს მონინალმდევე მხარის მოსაზრებას, რომ არ არსებობს რუსეთის ფედერაციის ქ. ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2013 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების წინაპირობები, რადგანაც „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება თუ გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე, ხოლო ამავე კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. შესაბამისად, შეჯიბრებითობის პრინციპი მხარეთა ავტონომიურობასა და თვითპასუხისმგებლობას განსაზღვრავს, რომელიც რაიმე ფორმით, მათ შორის საქმის განხილვაზე მიუწვევლობით არ შეიძლება შეეზღუდოს სამართალწარმოებაში მონაწილე სუბიექტებს. მართალია, საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოპასუხეს, რომლის ადგილსამყოფელიც ვერ დადგინდა რფ სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე სასამართლომ დაუნიშნა წარმომადგენლი, თუმცა აღნიშნული ფორმით არაინფორმირებული მოპასუხის საქმის განხილვაში ჩაბმას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს. უფრო მეტიც, იმისთვის რათა დაცული იქნეს მხარეთა თანაბარი შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საქმის განხილვაში, რაც შემთხვევებში მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს მოპასუხის ძებნას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე (სსსკ-ის 51-ე მუხლი).

ზემოაღნიშნული გარემოებების მხედველობაში მიღებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულებასაც მხარე მო-

ითხოვს, ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს, რადგან საქმის ამგვარი წესით განხილვა ეწინააღმდეგება მოპასუხის უფლებას თავისი ნების თავისუფალი გამოვლენით შეძლოს საკუთარი ინტერესების დაცვა სასამართლოში საქმის განხილვისის.

რაც შეეხება მ. ფ-ის წარმომადგენლ თ. წ-ის განცხადებას აღნიშნული შუამდგომლობის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე, საკასაციო პალატა მიიჩნებს, რომ ის არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადების დათქმა, რომ საქმის ზეპირი განხილვა არ მოხდება, თუ მხარეები ამას არ მოითხოვენ, მოიაზრებს არა მხოლოდ მითითებას საქმის ზეპირ განხილვაზე, არამედ შუამდგომლობის ავტორის ვალდებულებას დაასაბუთოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას მისი რა კონკრეტული უფლება იქნება დარღვეული. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარე არ ასაბუთებს, თუ რა საფუძვლით ითხოვს საქმის ზეპირი მოსმენით განხილვას, პალატა მიიჩნევს, რომ ის არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284 მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ა. შ-ის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ. ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2013 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

2. მ. ფ-ის წარმომადგენლ თ. წ-ის განცხადება აღნიშნული შუამდგომლობის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

ბანრინება

№ა-940-შ-25-2014

25 აპრილი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ოფენბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2012 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით ე. გ-ის (ქალიშვილობის გვარი გ-ი) განცხადების საფუძველზე შეწყდა ესლინგენის მმჩის ბიუროს მოხელის მიერ 1999 წლის 6 დეკემბერს მხარეთა შორის რეგისტრირებული №488/1999 ქორწინება (გ-ი – გ-ი). ამავე გადაწყვეტილებით განისაზღვრა მოპასუხის საპენსიო უზრუნველყოფის საკითხი და სასამართლო ხარჯების გადახდის წესი.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა მოპასუხე ზ. გ-ის წარმომადგენელმა ლ. ჯ-ამ და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი, აპოსტილით დამოწმებული სასამართლო გადაწყვეტილების შესწავლით ირკვევა, რომ საქმე განხილულია ზეპირის მოსმენით, უდავოა, რომ შუამდგომლობის ავტორი წარმოდგენს წინამდებარე საქმეზე მოპასუხე მხარეს, გადაწყვეტილების თანახმად, ის კანონიერ ძალაში შევიდა 2013 წლის 17 იანვარს. ამასთანავე, მხარემ მიუთითა საკასაციო სასამართლოსათვის შუამდგომლობით მომართვის ინტერესი – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს უარი განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების რეგისტრაციაზე, ვიდრე მისი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ცნობა არ მოხდება, ხოლო საქმეში წარმოდგენილი სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გაცემული საინფორმაციო ბა-

რათის თანახმად, ზ. გ-ი საქართველოს მოქალაქეა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 27 მარტის განჩინებით ზ. გ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ზ. გ-ის შუამდგომლობა გერმანიის ოფენბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2012 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის ოფენბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2012 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით ე. გ-ის (ქალიშვილობის გვარი გ-ი) განცხადების საფუძველზე შეწყდა ესლინგენის მმარჩის ბიუროს მოხელის მიერ 1999 წლის 6 დეკემბერს მხარეთა შორის რეგისტრირებული №488/1999 ქორწინება (გ-ი – გ-ი). ამავე გადაწყვეტილებით განისაზღვრა მოპასუხის საპენსიო უზრუნველყოფის საკითხი და სასამართლო ხარჯების გადახდის წესი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მმართა მოპასუხე ზ. გ-ის წარმომადგენელმა ლ. ჯ-ამ და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი, აპოსტილით დამოწმებული სასამართლო გადაწყვეტილების შესწავლით ირკვევა, რომ საქმე განხილულია ზეპირის მოსმენით, უდავოა, რომ შუამდგომლობის ავტორი წარმოადგენს წინამდებარე საქმეზე მოპასუხე მხარეს, გადაწყვეტილების თანახმად, ის კანონიერ ძალაში შევიდა 2013 წლის 17 იანვარს. ამასთანავე, მხარემ მიუთითა საკასაციო სასამართლოსათვის შუამდგომლობით მმართვის ინტერესი – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს უარი განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების რეგისტრაციაზე, ვიდრე მისი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ცნობა არ მოხდება, ხოლო საქმეში წარმოდგენილი სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გაცემული საინფორმაციო ბარათის თანახმად, ზ. გ-ი საქართველოს მოქალაქეა, რაც მოწმობს წინამდებარე დავაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის არსებობას.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს

კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით კი დადგენილია, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო, ხოლო ნორმის მე-2 პუნქტით კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შუამდგომლობაში მითითებული გადაწყვეტილება მისი საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს უარი ეთქმევა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. ამდენად, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა არ ხდება, თუ: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით ასევე დადგენილია გარკვეული შეზღუდვები, თუმცა საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, გერმანიის ოფენბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2012 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ზ. გ-ის შუამდგომლობა გერმანიის ოფენბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2012 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე გერმანიის ოფენბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2012 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ე. გ-ის (ქალიშვილობის გვარი გ-ი) განცხადების საფუძველზე შეწყდა ესლინგენის მმარის ბიუროს მოხელის მიერ 1999 წლის 6 დეკემბერს მხარეთა შორის რეგისტრირებული №488/1999 ქორწინება (გ-ი – გ-ი). ამავე გადაწყვეტილებით განისაზღვრა მოპასუხის საპენსიო უზრუნველყოფის საკითხი და სასამართლო ხარჯების გადახდის წესი.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-1167-შ-30-2014

25 აპრილი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტსკის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „ბ-ას“ ღია სააქციო საზოგადოება „ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი თანხის 740071,30 აშშ დოლარისა და ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო პირგასამტეხლოს, სულ 2701987,03 აშშ დოლარის გადახდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ღია სააქციო საზოგადოება „ბ-მა“ (გენერალური დირექტორი ს.ვ.შ-ა) და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებასაც მხარე მოითხოვს, შესულია კანონიერ ძალაში, მოპასუხე ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე, თუმცა განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია და ითხოვა დავის მისი დასწრების გარეშე გადაწყვეტა, ასევე დასტურდება, რომ გადაწყვეტილება მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებული არ არის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 7 აპრილის განჩინებით ღია სააქციო საზოგადოება „ბ-ის“ შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ღია სააქციო საზოგადოება „ბ-ის“ (გენერალური დირექ-

ტორი ს.ვ.შ-ა) შუამდგომლობა შპს „ბ-ის“ თანხის დაკისრების ნაწილში ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტსკის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტსკის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „ბ-ას“ ღია სააქციო საზოგადოება „ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი თანხის – 740071,30 აშშ დოლარისა და ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო პირგასამტეხლოს, სულ 2701987,03 აშშ დოლარის გადახდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მართა ღია სააქციო საზოგადოება „ბ-მა“ (გენერალური დირექტორი ს.ვ.შ-ა) და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებასაც მხარე მოითხოვს, შესულია კანონიერ ძალაში, მოპასუხე ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე, თუმცა განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია და ითხოვა დავის მისი დასწრების გარეშე გადაწყვეტა, ასევე დასტურდება, რომ გადაწყვეტილება მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებული არ არის, ხოლო შპს „ბ-ა“ წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. რაც შეეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამარ-

თლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა. საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია. ამდენად, ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტსკის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება შპს „ბის“ ღია სააქციო საზოგადოება „ბის“ სასარგებლოდ ძირითადი თანხის – 740071,30 აშშ დოლარისა და ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო პირგასამტეხლოს, სულ 2701987,03 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ღია სააქციო საზოგადოება „ბის“ შუამდგომლობა ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტსკის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილების შპს „ბის“ ღია სააქციო საზოგადოება „ბის“ სასარგებლოდ ძირითადი თანხის – 740071,30 აშშ დოლარისა და ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო პირგასამტეხლოს, სულ 2701987,03 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტსკის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც შპს „ბ-ას“ ღია სააქციო საზო-

გადოება „ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი თანხის – 740071,30 აშშ დოლარისა და ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო პირგასამტეხლოს, სულ 2701987,03 აშშ დოლარის გადახდა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-3683-შ-98-2013

5 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ბელარუსის რესპუბლიკის ქ. გომელის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2013 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ბ. გ-ეს (დაბადების თარიღი – ... წლის ... დეკემბერი) ო. ე-ას სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილების – ... წლის ... მაისს დაბადებული დ. და ... წლის ... ივლისს დაბადებული ა. სარჩენად დაეკისრა ალიმენტის – ხელფასის ან სხვა სახის შემოსავლის 33%-ის გადახდა 2013 წლის 4 აპრილიდან ბავშვების სრულწლოვანებამდე. ამასთან ყოველთვიური ალიმენტის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს საშუალოდ მოსახლეობის ერთ სულზე დადგენილი საარსებო მინიმუმის ბიუჯეტის 75%-ზე ნაკლები. ასევე, ბ. გ-ეს სახელმწიფო ბაჟის სახით დაეკისრა 980 600 რუბლის გადახდა.

ო. ე-ამ და ბელარუსის რესპუბლიკის ქ. გომელის ცენტრალური რაიონის სასამართლოს მოსამართლე ი. კ-მა შუამდგომლობებით მომართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს და

მოითხოვეს ბელარუსის რესპუბლიკის ქ. გომელის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2013 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 6 დეკემბრის განჩინებით ო. ე-სა და ბელარუსის რესპუბლიკის ქ. გომელის ცენტრალური რაიონის სასამართლოს მოსამართლე ი. კ-ის შუამდგომლობები ბელარუსის რესპუბლიკის ქ. გომელის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2013 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებული იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ო. ე-სა და ბელარუსის რესპუბლიკის ქ. გომელის ცენტრალური რაიონის სასამართლოს მოსამართლე ი. კ-ის შუამდგომლობები ბელარუსის რესპუბლიკის ქ. გომელის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2013 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ბელარუსის რესპუბლიკის ქ. გომელის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2013 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ბ. გ-ეს (დაბადების თარიღი – ... წლის ... დეკემბერი) ო. ე-ს სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილების – ... წლის ... მისს დაბადებული დ. და ... წლის ... ივლისს დაბადებული ა. სარჩენად დაეკისრა ალიმენტის – ხელფასის ან სხვა სახის შემოსავლის 33%-ის გადახდა 2013 წლის 4 აპრილიდან ბავშვების სრულწოვანებამდე. ამასთან ყოველთვიური ალიმენტის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს სამუალოდ მოსახლეობის ერთ სულზე დადგენილი საარსებო მინიმუმის ბიუჯეტის 75%-ზე ნაკლები. ასევე, ბ. გ-ეს სახელმწიფო ბაჟის სახით დაეკისრა 980 600 რუბლის გადახდა.

წარმოდგენილი საქმის მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-სა და აღსრულებას მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაში შევიდა 2013 წლის 21 ოქტომბერს და ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა. ასევე, მოპასუხე სათანადოდ იყო ინფორმირებული საქმის განხილვის თაობაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს

კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, ბელარუსის რესპუბლიკის ქ. გომელის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2013 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ო. ე-სა და ბელარუსის რესპუბლიკის ქ. გომელის ცენტრალური რაიონის სასამართლოს მოსამართლე ი. კ-ის შუამდგომლობები ბელარუსის რესპუბლიკის ქ. გომელის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2013 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად ბელარუსის რესპუბლიკის ქ. გომელის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2013 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ბ. გ-ეს (დაბადების თარიღი – ... წლის ... დეკემბერი) ო. ე-ას სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილების – ... წლის ... მაისის დაბადებული დ. და ... წლის ... ივლისის დაბადებული ა. სარჩენად დაეკისრა ალიმენტის – ხელფასის ან სხვა სახის შემოსავლის 33%-ის გადახდა 2013 წლის 4 აპრილიდან ბავშვების სრულწლოვანებამდე. ამასთან ყოველთვიური ალიმენტის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს საშუალოდ მოსახლეობის ერთ სულზე დადგენილი საარსებო მინიმუმის ბიუ-

ჯეცის 75%-ზე ნაკლები. ასევე, ბ. გ-ეს სახელმწიფო ბაჟის სა-
ხით დაეკისრა 980 600 რუბლის გადახდა

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-
საჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-3909-შ-100-2013

13 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: შვილად აყვანა

აღწერილობითი ნაწილი:

იტალიის რესპუბლიკის ფლორენციის სასამართლოს 2012 წლის 20 აპრილის განჩინებით დაკმაყოფილდა მოთხოვნა და გან-
ხორციელდა ნ. ო-ის, დაბადებული თბილისში, საქართველო, ...,
მცხოვრები კოლე ვალ დ'ელსაში, კ-ოს ქ. №56, შვილად აყვანა
ვ. ა-ოს მიერ, დაბადებული სტაძემაში, ..., მცხოვრები კასტელ-
ფიორენტინოში, ვალ დ'ორლოს ქ. №30. ამასთან შვილად ასაყ-
ვანი პირი იღებს მშვილელბლის გვარს და მას თავისი საკუთარი
გვარის წინ დაასახელებს.

ნ. ო-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს
სასამართლოს და მოითხოვა იტალიის რესპუბლიკის ფლორენ-
ციის სასამართლოს 2012 წლის 20 აპრილის განჩინების საქარ-
თველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2013 წლის 27 დეკემბრის განჩინებით ნ. ო-ის შუამ-
დგომლობა იტალიის რესპუბლიკის ფლორენციის სასამართლოს
2012 წლის 20 აპრილის განჩინების საქართველოს ტერიტორია-
ზე ცნობის შესახებ მიღებული იქნა ნარმოებში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ნ. ო-ის შუამდგომლობა იტალიის რესპუბლიკის ფლორენციის სასამართლოს 2012 წლის 20 აპრილის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

იტალიის რესპუბლიკის ფლორენციის სასამართლოს 2012 წლის 20 აპრილის განჩინებით დაკმაყოფილდა მოთხოვნა და განხორციელდა ნ. ო-ის, დაბადებული თბილისში, საქართველო, ..., მცხოვრები კოლე ვალ დ'ელსაში, კ-ოს ქ. №56, შვილად აყვანა ვ. ა-ოს მიერ, დაბადებული სტაძემაში, ..., მცხოვრები კასტელფიორენტინოში, ვალ დ'ორლოს ქ. №30. ამასთან შვილად ასაყვანი პირი იღებს მშვილებლის გვარს და მას თავისი საკუთარი გვარის წინ დაასახელებს. საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ განჩინება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაშია შესული, რადგან კანონით გათვალისწინებული ვადის გასვლის გამო გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ასევე, მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის განხილვის თაობაზე და მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში. ფლორენციის რაიონის ქალაქ კასტელფიორენტინოს დემოგრაფიული სამსახურის ოჯახური მდგომარეობის შესახებ ჩანაწერით დასტურდება, რომ აღნიშნული განჩინება აღსრულებულია იტალიის რესპუბლიკაში. შუამდგომლობის ავტორმა ასევე წარმოადგინა ვ. ა-ოს სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა, რომლიდანაც ირკვევა მონიშნულმდეგე მხარის ინფორმირებულობა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოში იხილება ნ. ო-ის შუამდგომლობა შვილად აყვანის თაობაზე ფლორენციის სასამართლოს გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ და ვ. ა-ო თანახმაა უზენაესმა სასამართლომ ცნოს აღნიშნული განჩინება.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადანყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადანყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული

დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

იტალიის რესპუბლიკის ფლორენციის სასამართლოს 2012 წლის 20 აპრილის განჩინება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ო-ის შუამდგომლობა იტალიის რესპუბლიკის ფლორენციის სასამართლოს 2012 წლის 20 აპრილის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას იტალიის რესპუბლიკის ფლორენციის სასამართლოს 2012 წლის 20 აპრილის განჩინება, რომლითაც დაკმაყოფილდა მოთხოვნა და განხორციელდა ნ. ო-ის, დაბადებული თბილისში, საქართველო, ..., მცხოვრები კოლე ვალ დ'ელსაში, კ-ოს ქ. №56, შვილად აყვანა ვ. ა-ოს მიერ, დაბადებული სტაძემაში, ..., მცხოვრები კასტელფიორენტინოში, ვალ დ'ორლოს ქ. №30. ამასთან შვილად ასაყვანი პირი იღებს მშვილებლის გვარს და მას თავისი საკუთარი გვარის წინ დაასახელებს.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

ბანკინება

№ა-1246-შ-33-2014

13 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტსკის ოლქის სამეურნეო სა-
სამართლოს 2013 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს
„ბ-ას“ ღია სააქციო საზოგადოება „ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა
ძირითადი თანხის 740071,30 აშშ დოლარისა და ფულადი ვალ-
დებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო პირგასამ-
ტეხლოს, სულ 2701987,03 აშშ დოლარის გადახდა, მასვე ბელა-
რუსის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელ-
მწიფო ბაჟის 256148370 ბელორუსული რუბლის გადახდა რაც
სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის დღეს მოქმედი ბე-
ლარუსის რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კურსის შესაბამი-
სად წარმოადგენდა 27019,87 აშშ დოლარს.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მო-
მართა ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტსკის ოლქის შემოსავ-
ლებისა და მოსაკრებლების სამინისტროს ინსპექციამ და მო-
ითხოვა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბა-
ჟის დაკისრების ნაწილში ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებუ-
ლებებით ირკვევა, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართვე-
ლოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებასაც მხარე მოით-
ხოვს, შესულია კანონიერ ძალაში, მოპასუხე ინფორმირებული
იყო საქმის განხილვის თაობაზე, თუმცა განხილვაში მონაწი-
ლეობა არ მიუღია და ითხოვა დავის მისი დასწრების გარეშე
გადაწყვეტა, ასევე დასტურდება, რომ გადაწყვეტილება მისი

მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებული არ არის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 აპრილის განჩინებით ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტსკის ოლქის შემოსავლებისა და მოსაკრებლების სამინისტროს ინსპექციის შუამდგომლობა შპს „ბ-ის“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტსკის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტსკის ოლქის შემოსავლებისა და მოსაკრებლების სამინისტროს ინსპექციის შუამდგომლობა, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ შპს „ბ-ის“ სახელმწიფო ბაჟის – 256148370 ბელორუსული რუბლის (27019,87 აშშ დოლარის) დაკისრების თაობაზე ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტსკის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტსკის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „ბ-ას“ ღია სააქციო საზოგადოება „ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი თანხის 740071,30 აშშ დოლარისა და ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო პირგასამტეხლოს, სულ 2701987,03 აშშ დოლარის გადახდა, მასვე ბელარუსის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის 256148370 ბელორუსული რუბლის გადახდა რაც სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის დღეს მოქმედი ბელარუსის რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად წარმოადგენდა 27019,87 აშშ დოლარს.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მართა ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტსკის ოლქის შემოსავლებისა და მოსაკრებლების სამინისტროს ინსპექციამ და მოითხოვა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებუ-

ლებებით ირკვევა, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებასაც მხარე მოითხოვს, შესულია კანონიერ ძალაში, მოპასუხე ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე, თუმცა განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია და ითხოვა დავის მისი დასწრების გარეშე გადაწყვეტა, ასევე დასტურდება, რომ გადაწყვეტილება მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებული არ არის, თავის მხრივ, შპს „ბ-ა“ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირია.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. რაც შეეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა.

საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია. ამდენად, ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტსკის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება შპს „ბ-ის“ ბელარუსის რესპუბლიკის ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის – 256148370 ბელორუსული რუბლის (27019,87 აშშ დოლარის) დაკისრების ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსას-

რულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტსკის ოლქის შემოსავლებისა და მოსაკრებლების სამინისტროს ინსპექციის შუამდგომლობა შპს „ბ-ის“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტსკის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტსკის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც შპს „ბ-ას“ ბელარუსის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 256148370 ბელორუსული რუბლის გადახდა, რაც სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის დღეს მოქმედი ბელარუსის რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად წარმოადგენდა 27019,87 აშშ დოლარს.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-1136-შ-29-2014

13 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ქ.ფრანკენტალის (პფალცი) პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით (საბოლოო განჩინებით) 2007 წლის 4 ივლისს გერმანიის ფრანკენტალის მმარის ბიუროს მოხელის წინაშე რეგისტრირებული №რ.63/2007 ქორწინება მ. მ. შ-სა და თ. შ-ს (დაბადების გვარი გ-ა) შორის გაუქმდა, ამასთან, დადგინდა, რომ მხარეებს სასამართლო პროცესის ხარჯებთან დაკავშირებით ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნდათ.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა თ. გ-ამ და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამოწმებული გადაწყვეტილების თანახმად, იგი კანონიერ ძალაში შევიდა, ირკვევა, რომ მხარეები საქმის განხილვის თაობაზე ინფორმირებული იყვნენ, ქორწინების რეესტრის ამონაწერის თანახმად, გადაწყვეტილება მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებულია, თავად გადაწყვეტილებითა და შუამდგომლობაზე დართული თ.გ-ას პასპორტის ასლის შესწავლით დასტურდება, რომ შუამდგომლობის ავტორი საქართველოს მოქალაქეა, ამასთანავე, მითითებულია მხარის იურიდიული ინტერესიც – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში გადაწყვეტილებით დადგენილი უფლების რეგისტრაცია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 7 აპრილის განჩინებით თ. გ-ას შუამ-

დგომლობა გერმანიის ქ.ფრანკენთალის (პფალცი) პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილების (საბოლოო განჩინების) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ თ. გ-ას შუამდგომლობა გერმანიის ქ.ფრანკენთალის (პფალცი) პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილების (საბოლოო განჩინების) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის ქ.ფრანკენთალის (პფალცი) პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით (საბოლოო განჩინებით) 2007 წლის 4 ივლისს გერმანიის ფრანკენთალის მმარის ბიუროს მოხელის წინაშე რეგისტრირებული №რ.63/2007 ქორწინება მ. მ. შ-სა და თ. შ-ს (დაბადების გვარი გ-ა) შორის გაუქმდა, ამასთან, დადგინდა, რომ მხარეებს სასამართლო პროცესის ხარჯებთან დაკავშირებით ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნდათ.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა თ. გ-ამ და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამონშებული გადაწყვეტილების თანახმად, იგი კანონიერ ძალაში შევიდა, ირკვევა, რომ მხარეები საქმის განხილვის თაობაზე ინფორმირებული იყვნენ, ქორწინების რეესტრის ამონაწერის თანახმად, გადაწყვეტილება მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებულია, თავად გადაწყვეტილებითა და შუამდგომლობაზე დართული თ. გ-ას პასპორტის ასლის შესწავლით დასტურდება, რომ შუამდგომლობის ავტორი საქართველოს მოქალაქეა, ამასთანავე, მითითებულია მხარის იურიდიული ინტერესიც – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში გადაწყვეტილებით დადგენილი უფლების რეესტრაცია.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით კი დადგენილია, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამარ-

თლო, ხოლო ნორმის მე-2 პუნქტით კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შუამდგომლობაში მითითებული გადანყვეტილება მისი საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს უარი ეთქმევა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. ამდენად, უცხო ქვეყნის გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა არ ხდება, თუ: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადანყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადანყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადანყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადანყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით ასევე დადგენილია გარკვეული შეზღუდვები, თუმცა საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, გერმანიის ქ.ფრანკენთალის (ჰფალცი) პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 21 აპრილის გადანყვეტილება (საბოლოო განჩინება) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით და

დაადგინა:

1. თ. გ-ას შუამდგომლობა გერმანიის ქ.ფრანკენთალის (პფალცი) პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილების (საბოლოო განჩინების) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე გერმანიის ქ.ფრანკენთალის (პფალცი) პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება (საბოლოო განჩინება), რომლითაც 2007 წლის 4 ივლისს გერმანიის ფრანკენთალის მმარის ბიუროს მოხელის წინაშე რეგისტრირებული №რ.63/2007 ქორწინება მ. მ. შ-სა და თ. შ-ს (დაბადების გვარი გ-ა) შორის გაუქმდა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-927-შ-24-2014

7 აპრილი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

აშშ-ს ნიუ-იუორკის შტატის უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით შეწყდა ი. გ-სა და კ. უ-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განცხადებით მომართა ი. გ-ემ და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვე-

ტილებით დასტურდება, რომ ის კანონიერ ძალაში შევიდა 2013 წლის 20 მარტს და მხარეები ინფორმირებული იყვნენ საქმის განხილვის თაობაზე.

შუამდგომლობის ავტორმა ასევე წარმოადგინა კ. უ-ის განცხადება, რომლითაც იგი თანხმობას აცხადებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ცნობი იქნას აშშ-ს ნიუ-იორკის შტატის უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება და საკითხი განხილულ იქნას მის დაუსწრებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ი. გ-ის შუამდგომლობა აშშ-ს ნიუ-იორკის შტატის უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 6 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

აშშ-ს ნიუ-იორკის შტატის უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით შეწყდა ი. გ-სა და კ. უ-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება. გადაწყვეტილება აღსრულებულია აშშ-ს ტეროტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, აშშ-ს ნიუ-იორკის შტატის უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო

კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ი. გ-ის შუამდგომლობა აშშ-ს ნიუ-იურკის შტატის უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 6 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას აშშ-ს ნიუ-იურკის შტატის უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც შეწყდა ი. გ-სა და კ. უ-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-3699-ა-13-2013

4 დეკემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

ომსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2012 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით შპს „კ-ს“ შპს „ლ-ს“ (შპს „ო-ა“) სასარგებლოდ 1 704 990 რუსული რუბლის გადახდა დაეკისრა, საიდანაც 1 495 975 რუბლი არის ძირი თანხა, 209 014 რუბლი – ჯარიმა, 30 572,72 რუბლი – სახელმწიფო ბაჟი.

2012 წლის 30 ივლისს შპს „ო-მ“ ომსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების იძულებით

აღსრულების შესახებ შუამდგომლობით მიმართა.

2012 წლის 13 დეკემბერს საქართველოს უზენაეს სასამართლოს „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის 53-ე მუხლის საფუძველზე ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადებით მომართა ომსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლე ყ. შ-მ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივნისის განჩინებით შპს „ო-ს“ შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

2013 წლის 27 ნოემბერს შპს „ო-მ“ საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა, საქმის წარმოების განახლებისა და შუამდგომლობის დაკმაყოფილების მოთხოვნით, იმ საფუძველზე, რომ ომსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლო განეკუთვნება რუსეთის ფედერაციის საერთო სასამართლოების სისტემას და, შესაბამისად, „ო-სა“ და შპს „კ-ს“ საქმეზე კომპეტენტური სასამართლო იყო. ამ გარემოებებს ადასტურებს ომსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს წერილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, განცხადება და თვლის, რომ შპს „ლ-ს“ განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივნისის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების წამძღვრები.

იმავე კოდექსის 423-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის

დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

განსახილველ შემთხვევაში, შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას ის საფუძველი დაედო, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმება არ იყო ნამდვილი, არ ირკვეოდა ომსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლო კომპეტენტური იყო თუ არა მოცემული დავის გადაწყვეტისას და არ დასტურდებოდა ხელშეკრულებო განსჯადობის არსებობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ კანონიდან გამომდინარე, კანონით დადგენილი წესით გაფორმებული საარბიტრაჟო შეთანხმება სავალდებულოა დავის კერძო არბიტრაჟისათვის გადასაცემად, მოცემულ შემთხვევაში, მხარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ ომსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლო არ არის კერძო არბიტრაჟი, არამედ საერთო სასამართლოების სისტემას განეკუთვნება, შესაბამისად, საერთო სასამართლოებისადმი მიმართვისათვის მხარეთა შეთანხმების არსებობა სავალდებულო არ არის, კონკრეტული საქმის განსჯადობა წყდება შესაბამისი ქვეყნის საპროცესო კანონმდებლობით, რაც შუამდგომლობის განხილვის პროცესში საქართველოს უზენაესი სასამართლოს კვლევის საგანი არაა. აღნიშნული ინფორმაცია სასამართლოსათვის ცნობილი რომ ყოფილიყო შუამდგომლობის განხილვის დროს, შუამდგომლობა, შესაძლებელია, დაკმაყოფილებულიყო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივნისის განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმის წარმოება განახლდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 423-ე, 431-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „ლ-ს“ განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივნისის განჩინება და შუამდგომლობის განხილვა განახლდეს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-2941-შ-74-2013

5 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის მაინის გემიუნდენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილებით გაუქმდა 07.02.2003 წელს ვიურცბურგის მმაჩის ბიუროში ხ. ყ-ს-სა და ვ. ს-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის ნომერი 39/2003).

ხ. ყ-ს-ის წარმომადგენელმა ნ. გ-ემ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა გერმანიის მაინის გემიუნდენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით ხ. ყ-ს-ის წარმომადგენელ ნ. გ-ის შუამდგომლობა გერმანიის მაინის გემიუნდენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებული იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ხ. ჟ-ს-ის შუამდგომლობა გერმანიის მაინის გემიუნდენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის მაინის გემიუნდენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილებით გაუქმდა 07.02.2003 წელს ვიურცბურგის მმარის ბიუროში ხ. ჟ-ს-სა და ვ. ს-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის ნომერი 39/2003). საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაშია შესული. ასევე, მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის განხილვის თაობაზე და მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით აღნიშნული გადაწყვეტილება აღსრულებულია გერმანიის ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

გერმანიის მაინის გემიუნდენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დაადგინა:

1. ბ. ჟ-ს-ის შუამდგომლობა გერმანიის მაინის გემიუნდენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის მაინის გემიუნდენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა 07.02.2003 წელს ვიურცბურგის მმაჩის ბიუროში ბ. ჟ-ს-სა და ვ. ს-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის ნომერი 39/2003).

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-1287-შ-37-2014

2 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის ფიტომირის ოლქის სამრეწველო სასამართლოს 2013 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით შპს „ლ.-რ-ს“ კერძო საწარმო „მ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 269710,02 გრივნის (მიწოდებული საქონლის დავალიანების) ანაზღაურება, ასევე სასამართლო ხარჯების – 5394,20 გრივნის ანაზღაურება.

2014 წლის 31 მარტს კერძო საწარმო „მ-მა“ უკრაინის ფიტომირის ოლქის სამრეწველო სასამართლოს გადაწყვეტილების

იძულებით აღსრულების მოთხოვნით მიმართა. მისი მითითებით, შპს „ლ.-რ-მა“ ნაწილობრივ დაფარა დავალიანება, თუმცა გადაწყვეტილება არ აღსრულებულა 189780,02 გრივნისა და სამართლო ხარჯების ანაზღაურების ნაწილში.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა უკრაინის ჟიტომირის ოლქის სამრეწველო სასამართლოს მოსამართლე ნ. სიკორსკაიამ „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის 53-ე მუხლის საფუძველზე ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და იძულებით აღსრულების მოთხოვნით.

განცხადებაზე თანდართული მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2013 წლის 2 აპრილს და შპს „ლ.-რ-ი“ ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ მინსკის კონვენციის 53-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, შუამდგომლობა გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვის თაობაზე წარედგინება ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ სასამართლოს, სადაც გადაწყვეტილება აღსრულებას ექვემდებარება. იგი ასევე შეიძლება წარედგინოს სასამართლოში, სადაც გამოტანილ იქნა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. ეს სასამართლო შუამდგომლობას გადასცემს სასამართლოს, რომელიც კომპეტენტურია გამოიტანოს გადაწყვეტილება ამ შუამდგომლობაზე.

იმავე კონვენციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, სასამართლო, რომელიც განიხილავს შუამდგომლობას გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვისა და აღიარების თაობაზე, შემოიფარგლება იმის დადგენით, რომ წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული პირობები დაცულია. იმ შემთხვევაში თუ პირობები დაცულია, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება იძულებითი აღსრულების შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული კონვენციის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და არც კონვენციის 55-ე მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი არსებობს.

კონვენციის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით იძულებითი აღსრულების წესი განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს იძულებითი აღსრულება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უკრაინის ჟიტომირის ოლქის სამრეწველო სასამართლოს მოსამართლე ნ. სიკორსკაიასა და კერძო საწარმო „მ-ის“ შუამდგომლობა უკრაინის ჟიტომირის ოლქის სამრეწველო სასამართლოს 2013 წლის 19 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და იძულებითი აღსრულების შესახებ საფუძველიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის 53-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. უკრაინის ჟიტომირის ოლქის სამრეწველო სასამართლოს მოსამართლე ნ. სიკორსკაიასა და კერძო საწარმო „მ-ის“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე უკრაინის ჟიტომირის ოლქის სამრეწველო სასამართლოს 2013 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც შპს „ლ.-რ-ს“ კერძო საწარმო „მ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 269710,02 გრივნის (მიწოდებული საქონლის დავალიანების) ანაზღაურება, ასევე სასამართლო ხარჯების – 5394,20 გრივნის ანაზღაურება და მიექცეს აღსასრულებლად;

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

ბანჩინება

№ა-542-შ-16-2014

15 სექტემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

თურქეთის რესპუბლიკის კაისერის სასამართლოს 2011 წლის 5 ოქტომბრის განაჩენით სასამართლოს თანხმობით კაისერის რ-ნი, სოფ./რ-ნი გაზი ოსმან ფაშა, უბანი 14, სახლი 447-ში რეგისტრირებული სამოქალაქო რეესტრის მიხედვით, ჰ. და ფ-სგან წელს დაბადებული 52942238140 თ.რ. ნომრით რეგისტრირებული მოსარჩელე ბ. ი-ქ და საქართველოს მოქალაქე მოპასუხე ფ. ი-ქ (გ-ა) თსს 166/3 მუხლის თანახმად განქორწინდნენ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ფ. ი-მა (გ-ა) და მოითხოვა დასახელებული განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 4 მარტის განჩინებით ფ. ი-ის (გ-ა) შუამდგომლობა თურქეთის რესპუბლიკის კაისერის სასამართლოს 2011 წლის 5 ოქტომბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ფ. ი-ის (გ-ა) შუამდგომლობა თურქეთის რესპუბლიკის კაისერის სასამართლოს 2011 წლის 5 ოქტომბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თურქეთის რესპუბლიკის კაისერის სასამართლოს 2011 წლის 5 ოქტომბრის განაჩენით სასამართლოს თანხმობით კაისერის

რ-ნი, სოფ./რ-ნი გაზი ოსმან ფაშა, უბანი 14, სახლი 447-ში რეგისტრირებული სამოქალაქო რეესტრის მიხედვით, ჰ. და ფ-სგან წელს დაბადებული 52942238140 თ.რ. ნომრით რეგისტრირებული მოსარჩელე ბ. ი-ქ და საქართველოს მოქალაქე მოპასუხე ფ. ი-ქ (გ-ა) თსს 166/3 მუხლის თანახმად განქორწინდნენ.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ განაჩენი, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაშია შესული 2011 წლის 5 ოქტომბრიდან. ასევე, მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის განხილვის თაობაზე და მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში. ფ. ი-ქ (გ-ა) საქართველოს მოქალაქეა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

თურქეთის რესპუბლიკის კაისერის სასამართლოს 2011 წლის 5 ოქტომბრის განაჩენი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ფ. ი-ის (გ-ა) შუამდგომლობა თურქეთის რესპუბლიკის კაისერის სასამართლოს 2011 წლის 5 ოქტომბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას თურქეთის რესპუბლიკის კაისერის სასამართლოს 2011 წლის 5 ოქტომბრის

განაჩენი, რომლითაც სასამართლოს თანხმობით კაისერის რ-ნი, სოფ./რ-ნი გაზი ოსმან ფაშა, უბანი 14, სახლი 447-ში რეგისტრირებული სამოქალაქო რეესტრის მიხედვით, ჰ. და ფ-სგან წელს დაბადებული 52942238140 თ.რ. ნომრით რეგისტრირებული მოსარჩელე ბ. ი-ქ და საქართველოს მოქალაქე მოპასუხე ფ. ი-ქ (გ-ა) თსს 166/3 მუხლის თანახმად განქორწინდნენ.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-192-შ-6-2014

18 სექტემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ვეზელის პირველი ინსტანციის სასამართლოს სა-ოჯახო სასამართლოს 2009 წლის 15 დეკემბრის განაჩენით გა-უქმდა ქორწინება ფ. ი-სა და ნ. ბ.-ი-ას შორის, რეგისტრირებული 20.05.1997 წ. თბილისის მმარის ბიუროში სარეგისტრაციო ნომრით 42.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მო-მართა ფ. ი-ის წარმომადგენელმა თ. ტ-მ და მოითხოვა განქორ-წინების ნაწილში დასახელებული განაჩენის საქართველოს ტე-რიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2014 წლის 5 თებერვლის განჩინებით ფ. ი-ის შუამ-დგომლობა გერმანიის ვეზელის პირველი ინსტანციის სასამარ-თლოს საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 15 დეკემბრის განა-

ჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ჯ. ი-ის შუამდგომლობა გერმანიის ვეზელის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 15 დეკემბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის ვეზელის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 15 დეკემბრის განაჩენით გაუქმდა ქორწინება ჯ. ი-სა და ნ. ბ.-ის შორის, რეგისტრირებული 20.05.1997 წ. თბილისის მმარის ბიუროში სარეგისტრაციო ნომრით 42.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ განაჩენი, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაშია შესული 2010 წლის 22 იანვრიდან. ასევე, მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებული საქმის განხილვის თაობაზე და მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში. შუამდგომლობის ავტორის განცხადებით აღნიშნული განაჩენი აღსრულებულია გერმანიაში. ჯ. ი-ი არის საქართველოს მოქალაქე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

გერმანიის ვეზელის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 15 დეკემბრის განაჩენი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო

კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ჯ. ი-ის შუამდგომლობა გერმანიის ვეზელის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 15 დეკემბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის ვეზელის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 15 დეკემბრის განაჩენი, რომლითაც გაუქმდა ქორწინება ჯ. ი-სა და ნ. ბ.-ი-ას შორის, რეგისტრირებული 20.05.1997 წ. თბილისის მმაჩის ბიუროში სარეგისტრაციო ნომრით 42.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-2532-შ-76-2014

23 სექტემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

ნიდერლანდების ზუტკუნის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სექტორის ოჯახური დავების განყოფილების 2011 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით შეწყდა ზ. მ-სა და ი მ.-ჯ-ს შორის

რეგისტრირებული ქორწინება.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა ზ. მ-მა და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ ის კანონიერ ძალაშია შესული და მხარეები ინფორმირებული იყვნენ საქმის განხილვის თაობაზე.


სარეზოლუციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის 53-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ბელორუსიის რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის გომელის საბაჟოსა და ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. გომელის ცენტრალური რაიონის სასამართლოს მოსამართლე ე. ცალკოვას შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. გომელის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2014 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება და მიექცეს აღსასრულებლად;

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

ბანრინება

№ა-2816-შ-82-2014

20 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიჭვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის კარლსრუეს პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2014 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით ა. კ.-ასა და ო. კ.-ფ-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შუამდგომლობით მომართა ა. კ.-ას წარმომადგენელმა გ. გ-მ და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და მხარეები მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის კარლსრუეს პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2014 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით ა. კ.-ასა და ო. კ.-ფ-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს სა-

ქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში აღნიშნულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, გერმანიის კარლსრუეს პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2014 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ა. კ-ას წარმომადგენელ გ. გ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს,
2. გერმანიის კარლსრუეს პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2014 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე ა. კ-ასა და ო. კ.-ფ-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა, ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

ბანრინება

№ა-2818-შ-84-2014

20 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება, აღიშენების გადახდა

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის დნეპრისპირეთის რაიონის ქ. ჩერკასის სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით შეწყდა ი. პ. ასულ კ-სა და გ. ს-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება, გ. ს-ს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის, წელს დაბადებულ ი. გ. ძე ს-ის შენახვისათვის თვეში 900 გრივნის გადახდა 15.05.2013 წლიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა ი. კ-მა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით.

განცხადებაზე თანდართული მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 08.01.14 წელს, უკრაინის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა და გ. ს-ს ეცნობა საქმის განხილვის თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უკრაინის დნეპრისპირეთის რაიონის ქ. ჩერკასის სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით შეწყდა ი. პ. ასულ კ-სა და გ. ს-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება, გ. ს-ს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვი-

ლის, ... ნელს დაბადებულ ი. გ. ძე ს-ის შენახვისათვის თვეში 900 გრივნის გადახდა 15.05.2013 წლიდან ბავშვის სრულწლოვანებაამდე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმავე მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი გამონაკლისებისა.

იმავე კანონის 70-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების მიხედვით, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას. აღსრულებაზე გადაწყვეტილება მიიღება დაინტერესებული მხარის მიერ შესაბამისი შუამდგომლობის აღძვრის შემდეგ.

პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილი გადაწყვეტილების ცნობის დამაბრკოლებელი გარემოებები, ამასთან უკრაინის დნეპრისპირეთის რაიონის ქ. ჩერკასის სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება ექვემდებარება აღსრულებას და მხარეს აღძრული აქვს შესაბამისი შუამდგომლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ უკრაინის დნეპრისპირეთის რაიონის ქ. ჩერკასის სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის 53-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ი. კ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. უკრაინის დნეპრისპირეთის რაიონის ქ. ჩერკასის სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც შეწყდა ი. კ ასულ კ-სა და გ. ს-ს შორის რეგისტრი-

რებული ქორწინება, გ. ს-ს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის, ნელს დაბადებულ ი. გ. ძე ს-ის შენახვისათვის თვეში 900 გრივნის გადახდა 15.05.2013 წლიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე, ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად;

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-2773-შ-78-2014

20 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ტემპელჰოფი-კროიცბერგის რაიონული სასამართლოს საოჯახო საქმის განყოფილების 24.09.2013 წლის გადაწყვეტილებით ა. ვ-სა და მ. კ-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მართა მარინე კოტოშაშვილმა და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და მხარეები მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა

გამო:

გერმანიის ტემპელჰოფი-კროიცბერგის რაიონული სასამართლოს საოჯახო საქმის განყოფილების 24.09.2013 წლის გადაწყვეტილებით ა. ვ-სა და მ. კ-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში აღნიშნულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, გერმანიის ტემპელჰოფი-კროიცბერგის რაიონული სასამართლოს საოჯახო საქმის განყოფილების 24.09.2013 წლის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. კ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. გერმანიის ტემპელჰოფი-კროიცბერგის რაიონული სასამართლოს საოჯახო საქმის განყოფილების 24.09.2013 წლის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც ა. ვ-სა და მ. კ-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა, ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

ბანრინება

№ა-2537-შ-77-2014

20 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეცი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

საფრანგეთის რესპუბლიკის სტრასბურგის დიდი ინსტანციის სასამართლოს მე-2 სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებით შეწყდა ე. ლ-სა და გ. კ-ს შორის სრს თბილისის №1 სპეციალიზებული სამსახურის მიერ 2007 წლის 11 მარტს დარეგისტრირებული ქორწინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განცხადებით მომართა ე. ლ-ის წარმომადგენელმა ე. ზ-მა და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და მხარეები მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საფრანგეთის რესპუბლიკის სტრასბურგის დიდი ინსტანციის სასამართლოს მე-2 სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებით შეწყდა ე. ლ-სა და გ. კ-ს შორის სრს თბილისის №1 სპეციალიზებული სამსახურის მიერ 2007 წლის 11 მარტს დარეგისტრირებული ქორწინება.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის

სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში აღნიშნულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, საფრანგეთის რესპუბლიკის სტრასბურგის დიდი ინსტანციის სასამართლოს მე-2 სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ე. ლ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე საფრანგეთის რესპუბლიკის სტრასბურგის დიდი ინსტანციის სასამართლოს მე-2 სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე შეწყდა ე. ლ-სა და გ. კ-ს შორის სრს თბილისის №1 სპეციალიზებული სამსახურის მიერ 2007 წლის 11 მარტს დარეგისტრირებული ქორწინება;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

ბანჩინება

№ა-2895-შ-88-2014

20 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიჭვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის აალენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2014 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებით თ. ს-სა და ე. ა-ს შორის 29.08.2008 წელს აალენ-უნთერქოხენის მმაჩის ბიუროში რეგისტრირებული №12/2008 ქორწინება შეწყდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა თ. ს-მა და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და მხარეები მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის აალენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2014 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებით თ. ს-სა და ე. ა-ს შორის 29.08.2008 წელს აალენ-უნთერქოხენის მმაჩის ბიუროში რეგისტრირებული №12/2008 ქორწინება შეწყდა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი

პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში აღნიშნულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, გერმანიის აალენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2014 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თ. ს-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს,
2. გერმანიის აალენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2014 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე თ. ს-სა და ე. ა-ს შორის 29.08.2008 წელს აალენ-უნთერ-ქოხენის მმარის ბიუროში რეგისტრირებული №12/2008 ქორწინება შეწყდა, ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

ბანჩინება

№ა-3938-შ-101-2013

27 თებერვალი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2013 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე AC № 190№/2012) შპს „მ. პ-ს“ (...) (საქართველო) შპს „ზ. შ. ქ-ის“ სასარგებლოდ (უკრაინა) დაეკისრა 161 773 აშშ დოლარი – ძირითადი ვალი, 29 442,14 აშშ დოლარი – ჯარიმა საქონლის გადასახადის ვადის გადაცილებისათვის, 8 796,56 აშშ დოლარი – საარბიტრაჟო შეგროვების გადასახადის ხარჯების ანაზღაურება, და ჯამში 200 011 (ორასი ათას თერთმეტი) აშშ დოლარი და 70 ცენტი. სხვა სასარჩელო მოთხოვნები არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას. საარბიტრაჟო შეგროვება 401,98 აშშ დოლარის ოდენობით ჩაირიცხოს მოსარჩელეს ანგარიშზე. გადაწყვეტილება არის საბოლოო და მოითხოვს დაუყოვნებლივ აღსრულებას.

შპს „ზ. შ. ქ-ის“ წარმომადგენელმა კ. ა-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 იანვრის განჩინებით შპს „ზ. შ. ქ-ის“ შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2013 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების (საქმე AC № 190№/2012) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებული იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ შპს „ზ. შ. ქ-ის“ შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2013 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების (საქმე AC № 190№/2012) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2013 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე AC № 190№/2012) შპს „მ. პ-ს“ (...) (საქართველო) შპს „ზ. შ. ქ-ის“ სასარგებლოდ (უკრაინა) დაეკისრა 161 773 აშშ დოლარი – ძირითადი ვალი, 29 442,14 აშშ დოლარი – ჯარიმა საქონლის გადასახადის ვადის გადაცილებისათვის, 8 796,56 აშშ დოლარი – საარბიტრაჟო შეგროვების გადასახადის ხარჯების ანაზღაურება, და ჯამში 200 011 (ორასი ათას თერთმეტი) აშშ დოლარი და 70 ცენტრი. სხვა სასარჩელო მოთხოვნები არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას. საარბიტრაჟო შეგროვება 401,98 აშშ დოლარის ოდენობით ჩაირიცხოს მოსარჩელეს ანგარიშზე. გადაწყვეტილება არის საბოლოო და მოითხოვს დაუყოვნებლივ აღსრულებას.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულებასაც მხარე მოითხოვს, შესულია კანონიერ ძალაში 2013 წლის 28 თებერვლიდან, მოპასუხე – შპს „მ. პ-ი“ სათანადოდ იყო ინფორმირებული მოცემული საქმის განხილვის შესახებ.

საქმის მასალებში ასევე წარმოდგენილია მხარეთა შორის 2011 წლის 21 ოქტომბერს გაფორმებული კონტრაქტი №21-10/C და 2011 წლის პირველი დეკემბრის დამატებითი ხელშეკრულება, რომლითაც მხარეებმა, დავის შემთხვევაში, განსაზღვრეს დავის გადაწყვეტის სამართალი და გააფორმეს საარბიტრაჟო შეთანხმება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ შპს „ზ. შ. ქ-ის“ შუამდგომლობა აკმაყოფილებს „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების“ ნიუ-იორკის კონვენციის მოთხოვნებს, ხოლო „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 73¹ მუხლის თანახმად, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

ხდება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, იგი შესასრულებლად სავალდებულოა და სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში უნდა აღსრულდეს ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით. საქართველოში გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის მიზნებისათვის უფლებამოსილ სასამართლოდ ითვლება სააპელაციო სასამართლოები, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით – საქართველოს უზენაესი სასამართლო („არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტი).

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა აკმაყოფილებს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე და 45-ე მუხლების მოთხოვნებს, ამდენად, უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2013 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე AC № 190№/2012) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

„უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების“ ნიუ-იორკის კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს ცნობს როგორც სავალდებულოს და აღსასრულებს მათ იმ ტერიტორიის პროცესუალური ნორმებით, სადაც მოითხოვება ამ გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება, ქვემოჩამოთვლილ მუხლებში ჩამოყალიბებული პირობებით. იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების მიმართ, რომლებისთვისაც გამოიყენება ეს კონვენცია, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არსებითად უფრო მძიმე პირობები ან უფრო მაღალი ბაჟი ან მოსაკრებლები იმასთან შედარებით, რომლებიც არსებობს შიდა გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულებისათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გა-

დახდისაგან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინებით სრულად დაკმაყოფილდა შპს „ზ. შ. ქ-ის“ შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2013 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების (საქმე AC № 190№/2012) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე, შპს „მ. პ-ს“ შუამდგომლობის ავტორის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ შუამდგომლობაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 8 000 ლარი.

რაც შეეხება შპს „ზ. შ. ქ-ის“ წარმომადგენლის კ. ა-ის შუამდგომლობას მოპასუხისთვის სამართლებრივი მომსახურებისთვის განეული ხარჯების დავის საგნის 4%-ის ოდენობით დაკისრების თაობაზე, პალატას მიაჩნია, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს დაუსაბუთებლობის გამო, კერძოდ, შუამდგომლობის ავტორის მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესის შესაბამისად სამართლებრივი მომსახურების გამო განეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია სასამართლოში წარმოდგენილი არ არის.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების“ ნიუ-იორკის კონვენციით, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „ზ. შ. ქ-ის“ შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2013 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების (საქმე AC № 190№/2012) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2013 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე AC №

190№/2012), რომლითაც შპს „მ. პ-ს“ (...) (საქართველო) შპს „ზ. შ. ქ-ის“ სასარგებლოდ (უკრაინა) დაეკისრა 161 773 აშშ დოლარი – ძირითადი ვალი, 29 442,14 აშშ დოლარი – ჯარიმა საქონლის გადასახადის ვადის გადაცილებისათვის, 8 796,56 აშშ დოლარი – საარბიტრაჟო შეგროვების გადასახადის ხარჯების ანაზღაურება, და ჯამში 200 011 (ორასი ათას თერთმეტი) აშშ დოლარი და 70 ცენტი. სხვა სასარჩელო მოთხოვნები არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას. საარბიტრაჟო შეგროვება 401,98 აშშ დოლარის ოდენობით ჩაირიცხოს მოსარჩელეს ანგარიშზე. გადაწყვეტილება არის საბოლოო და მოითხოვს დაუყოვნებლივ აღსრულებას.

3. შპს „მ. პ-ს“ შპს „ზ. შ. ქ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ შუამდგომლობაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 8 000 ლარი.

4. შპს „ზ. შ. ქ-ის“ შუამდგომლობა მოპასუხისთვის სამართლებრივი მომსახურებისთვის განეული ხარჯების დაკისრების თაობაზე, არ დაკმაყოფილდეს დაუსაბუთებლობის გამო.

5. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

ბანჩინაბა

№ა-2656-შ-61-2013

9 იანვარი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: მეურვეობა

აღწერილობითი ნაწილი:

თურქეთის ქ.სტამბოლის მე-11 იურიდიული სასამართლოს 2012 წლის 7 თებერვლის განაჩენით მ. ე-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, საფანჯას რაიონის ქ.საქარიაში მცხოვრები (ტომი №3, ოჯახი №2, პირადი №20, მშობლები: მ. რ-ი და ე. ს-ა), ... წლის ... აგვისტოს დაბადებული თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე (პ/№...) ი. ე-ის მეურვედ დაინიშნა მასთან მცხოვრები, ... წლის ... ივნისს დაბადებული თურქეთის მოქალაქე (პ/№...) მ. ე-ი, ამავე განაჩენით განისაზღვრა მეურვის ვალდებულება, სამეურვეო პირისათვის შემოსავლის გაჩენის შემთხვევაში სასამართლოს ინფორმირების თაობაზე.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მართა მ. ე-მა და მოითხოვა ზემოაღნიშნული განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი თურქეთის ქ.სტამბოლის მე-11 იურიდიული სასამართლოს 2012 წლის 7 თებერვლის განაჩენის აპოსტილით დამოწმებული ასლისა მისი ქართულენოვანი თარგმანის (სანოტარო დამოწმებით) შესწავლით ირკვევა, რომ საქმე განხილულ იქნა ღია სხდომაზე და მასში მონაწილეობდა როგორც მოსარჩელე, ისე სამეურვეო პირი, ხოლო მ. ე-ის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის შესწავლით დასტურდება ის გარემოება, რომ მეურვე საქართველოს მოქალაქეა.

საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება ის გარემოება, რომ განაჩენი, რომლის საქართველოს ტერიტორია-

ზე ცნობასა და აღსრულებასაც მხარე მოითხოვს შესულია კანონიერ ძალაში, ასევე დასტურდება მოთხოვნის იურიდიული ინტერესი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 27 ნოემბრის განჩინებით მ. ე-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ მ. ე-ის შუამდგომლობა თურქეთის ქ.სტამბოლის მე-11 იურიდიული სასამართლოს 2012 წლის 7 თებერვლის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თურქეთის ქ.სტამბოლის მე-11 იურიდიული სასამართლოს 2012 წლის 7 თებერვლის განაჩენით მ. ე-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, საფანჯას რაიონის ქ.საქარიაში მცხოვრები (ტომი №3, ოჯახი №2, პირადი №20, მშობლები: მ. რ-ი და ე. ს-ა), ... წლის ... აგვისტოს დაბადებული თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე (პ/№...) ი. ე-ის მეურვედ დაინიშნა მასთან მცხოვრები, ... წლის ... ივნისს დაბადებული თურქეთის მოქალაქე (პ/№...) მ. ე-ი, ამავე განაჩენით განისაზღვრა მეურვის ვალდებულება, სამეურვეო პირისათვის შემოსავლის გაჩენის შემთხვევაში სასამართლოს ინფორმირების თაობაზე.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა მ. ე-მა და მოითხოვა ზემოაღნიშნული განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი თურქეთის ქ.სტამბოლის მე-11 იურიდიული სასამართლოს 2012 წლის 7 თებერვლის განაჩენის აპოსტილით დამოწმებული ასლისა მისი ქართულენოვანი თარგმანის (სანოტარო დამოწმებით) შესწავლით ირკვევა, რომ საქმე განხილულ იქნა ღია სხდომაზე და მასში მონაწილეობდა როგორც მოსარჩელე, ისე სამეურვეო პირი, ხოლო მ. ე-ის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის შესწავლით დასტურდება ის გარემოება, რომ მეურვე საქართველოს მოქალაქეა.

საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება ის გარემოება, რომ განაჩენი, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებასაც მხარე მოითხოვს შესულია კანონიერ ძალაში, ასევე დასტურდება მოთხოვნის იურიდიული

ინტერესი.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. რაც შეეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა. საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია. ამდენად, თურქეთის ქ.სტამბოლის მე-11 იურიდიული სასამართლოს 2012 წლის 7 თებერვლის განაჩენი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მ. ე-ის შუამდგომლობა თურქეთის ქ.სტამბოლის მე-11 იურიდიული სასამართლოს 2012 წლის 7 თებერვლის განაჩენის სა-

ქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად თურქეთის ქ.სტამბოლის მე-11 იურიდიული სასამართლოს 2012 წლის 7 თებერვლის განაჩენი, რომლითაც საფანჯას რაიონის ქ.საქარიაში მცხოვრები (ტომი №3, ოჯახი №2, პირადი №20, მშობლები: მ. რ-ი და ე. ს-ა), ... წლის ... აგვისტოს დაბადებული თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე (პ/№...) ი. ე-ის მეურვედ დაინიშნა მასთან მცხოვრები, ... წლის ... ივნისს დაბადებული თურქეთის მოქალაქე (პ/№...) მ. ე-ი და რომელი განაჩენითაც განისაზღვრა მეურვის ვალდებულება, სამეურვეო პირისათვის შემოსავლის გაჩენის შემთხვევაში სასამართლოს ინფორმირების თაობაზე.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-2787-შ-63-2013

30 დეკემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: **ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**
თ. თოდრია,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ალიმენტისა და სახელმწიფო ბაჟის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის სერპუხოვსკის სასამართლო უბნის 239-ე სასამართლო დაწესებულების 2013 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით ტ. კ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, ... წლის ... მარტს დაბადებულ საქართველოს მოქალაქე მ-ე ლ.ს ტ. კ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი არასრულწლოვანი შვილის – ... წლის ... აგვისტოს დაბადებული ს. მ-ის

სარჩენად შემოსავლის 1/4 ნაწილის ოდენობით 2012 წლის 17 აგვისტოდან შვილის სრულწლოვანებამდე, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ მოპასუხეს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 100 რუბლის გადახდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობებით მომართეს ტ. კ-ამ და რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის სერპუხოვსკის სასამართლო უბნის 239-ე სასამართლო დაწესებულების მომრიგებელმა მოსამართლემ და მოითხოვეს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება, კერძოდ, ტ.კ-ამ ითხოვა გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა ალიმენტის, ხოლო სასამართლომ – სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში.

შუამდგომლობის ავტორების მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებისა და თანდართული მტკიცებულებების შესწავლით ირკვევა, რომ მოპასუხე სათანადოდ იყო ინფორმირებული საქმის განხილვის თაობაზე, გადაწყვეტილება არც ალიმენტის დაკისრებისა და არც სახელმწიფო ბაჟის ნაწილში რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა, ხოლო თავად გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 12 სექტემბრის განჩინებით ტ. კ-სა და რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის სერპუხოვსკის სასამართლო უბნის 239-ე სასამართლო დაწესებულების მომრიგებელი მოსამართლის შუამდგომლობები რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის სერპუხოვსკის სასამართლო უბნის 239-ე სასამართლო დაწესებულების 2013 წლის 23 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობები ზემოხსენებული სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის სერპუხოვსკის სასამართლო უბნის 239-ე სასამართლო დაწესებულების 2013 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით ტ. კ-ს სარჩელი დაკმაყოფილდა, ... წლის ... მარტს დაბადებულ საქართველოს მოქალაქე

მ-ე ლ.ს ტ. კ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი არასრულწლოვანი შვილის – ... წლის ... აგვისტოს დაბადებული ს. მ-ის სარჩინად შემოსავლის 1/4 ნაწილის ოდენობით 2012 წლის 17 აგვისტოდან შვილის სრულწლოვანებამდე, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ მოპასუხეს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 100 რუბლის გადახდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობებით მომართეს ტ. კ-ამ და რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის სერპუხოვსკის სასამართლო უბნის 239-ე სასამართლო დანესებულების მომრიგებელმა მოსამართლემ და მოითხოვეს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება, კერძოდ, ტ.კ-ამ ითხოვა გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა ალიმენტის, ხოლო სასამართლომ – სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში.

შუამდგომლობის ავტორების მიერ წარმოდგენილი გადანაცვტილებისა და თანდართული მტკიცებულებების შესწავლით ირკვევა, რომ მოპასუხე სათანადოდ იყო ინფორმირებული საქმის განხილვის თაობაზე, გადაწყვეტილება არც ალიმენტის დაკისრებისა და არც სახელმწიფო ბაჟის ნაწილში რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა, ხოლო თავად გადანაცვტილება შესულია კანონიერ ძალაში.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი არ არსებობს არც გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების ნაწილში, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სასამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი

ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა.

საკაცაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია.

ამდენად, რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის სერპუხოვსკის სასამართლო უბნის 239-ე სასამართლო დაწესებულების 2013 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ ცნობილი უნდა იქნეს და მიექცეს საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ტ. კ-სა და რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის სერპუხოვსკის სასამართლო უბნის 239-ე სასამართლო დაწესებულების მომრიგებელი მოსამართლის შუამდგომლობები რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის სერპუხოვსკის სასამართლო უბნის 239-ე სასამართლო დაწესებულების 2013 წლის 23 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და აღსასრულებლად მიექცეს რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის სერპუხოვსკის სასამართლო უბნის 239-ე სასამართლო დაწესებულების 2013 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც ... წლის ... მარტს დაბადებულ საქართველოს მოქალაქე მ-ე ლ.ს ტ. კ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი არასრულწლოვანი შვილის – ... წლის ... აგვისტოს დაბადებული ს. მ-ის სარჩენად შემოსავლის 1/4 ნაწილის ოდენობით 2012 წლის 17 აგვისტოდან შვილის სრულწლოვანებამდე, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ მოპასუხეს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 100 რუბლის გადახდა.

3. საკაცაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

ბანჩინება

№ა-3337-შ-88-2013

17 იანვარი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატის

შემადგენლობა: ვ. როინიჭვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. სილაგაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის პინსკის რაიონის და ქ.პინსკის სასამართლოს 2005 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით ვ. ს. ასულ ბ-სა (ქალიშვილობის გვარი ხ-ი) და გ. გ. ძე ბ-ს შორის 1985 წლის 16 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის ქორწინების სასახლეში დარეგისტრირებული ქორწინება სააქტო ჩანაწერით №3676 შეწყდა.

ვ. ბ-ის წარმომადგენელმა ე. მ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის პინსკის რაიონის და ქ.პინსკის სასამართლოს 2005 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 4 ნოემბრის განჩინებით ვ. ბ-ის შუამდგომლობა მიღებული იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ვ. ბ-ის შუამდგომლობა ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის პინსკის რაიონის და ქ.პინსკის სასამართლოს 2005 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის პინსკის რაიონის და ქ.პინსკის სასამართლოს 2005 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების

ყვეტილებით ვ. ს. ასულ ბ-სა (ქალიშვილობის გვარი ხ-ი) და გ. გ. ძე ბ-ს შორის 1985 წლის 16 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის ქორწინების სასახლეში დარეგისტრირებული ქორწინება სააქტო ჩანაწერით №3676 შეწყდა.

წარმოდგენილი შუამდგომლობითა და თანდართული მასალებით დასტურდება, რომ ვ. ბ-ის სარჩელი განხილულ იქნა ზეპირი მოსმენით, რომელშიც მონაწილეობა არ მიუღია მოპასუხე გ. ბ-ს, მაგრამ გადაწყვეტილებით დასტურდება რომ ის სათანადო წესით იყო ინფორმირებული სასამართლო სხდომის შესახებ. გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში 2005 წლის 11 თებერვალს შევიდა. ვ. ბ-სა და გ. ბ-ს შორის ქორწინება 1985 წლის 16 ნოემბერს საქართველოში დარეგისტრირდა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის პინსკის რაიონის და ქ.პინსკის სასამართლოს 2005 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ვ. ბ-ის შუამდგომლობა ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის პინსკის რაიონის და ქ.პინსკის სასამართლოს 2005 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტო-

რიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის პინსკის რაიონის და ქ.პინსკის სასამართლოს 2005 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. ს. ასულ ბ-სა (ქალიშვილობის გვარი ხ-ი) და გ. გ. ძე ბ-ს შორის 1985 წლის 16 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის ქორწინების სასახლეში დარეგისტრირებული ქორწინება სააქტო ჩანაწერით №3676 შეწყდა.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკიეპელი

უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილების
საქართველოს ტერიტორიაზე

ცნობა და აღსრულება..... 3; 8; 12; 15; 18; 22; 24;
26; 28; 30; 34; 36; 40; 43;
48; 52; 55; 58; 61; 65; 68;
70; 73; 75; 78; 80; 82; 84;
86; 88; 90; 92; 94; 96; 99;
101; 103; 105; 107; 109;
111; 114; 116; 118; 120;
122; 124; 129; 132; 136

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ტელ.: (995 32) 2982103
www.supremecourt.ge